ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 27 დეკემბერი 2001 №248 (1521) | ფასი 50 თეთრი


# ძმა!

სამშობლოში
ძმის დახსნის იმედით
ჩამოსულ საქართველოს
საუკეთესო ფეხბურთელ
**კახა კალაძეს**
თბილისში
ხალხის სიყვარული და
სარბიელის **პრიზი**
დახვდა.

*— დღესდღეობით ჩემი საახალწლო და ყოველდღიური ოცნება ერთია: გატაცებული ძმა ოჯახს ცოცხალი და ჯანმრთელი დაუბრუნდეს. ვლოცულობ, რომ ლევანი მალე დაგვიხსნა — გვითხრა გუშინ კახა კალაძემ, რომელთან ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში" იხილავთ.*



კახა კალაძემ „სარბიელის" პრიზი ცნობილი მიზეზით 7 თვის დაგვიანებით ჩაიბარა

# გაუწოდეთ ხელი ხელგანწვდილ ხელბურთს!

## ასე თუ გაგრძელდა, ვინმემ შეიძლება ვაჟა ზაზაევიჩივით იკითხოს: ეს ხელბურთი რაღაა?



ხელჩაქნეული ხელბურთელები გაყინულ დარბაზში ფეხბურთით ხურდებიან

ჩვენდა საუბედუროდ, ხელბურთელთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების შესარჩევი ეტაპებისთვის მაინცდამაინც იანვარია გათვალისწინებული.

ეს გარემოება საქართველოს ვაჟთა ნაკრებისთვის წლების მანძილზე ბაყბაყდევივით წაუქცეველი გახდა. აბა, დეკემბერში მომავალი წლის ბიუჯეტიდან ვინ რას მოგცემს?!

უკეთეს შემთხვევაში 15-20 იანვარსო, ამჯერადაც განუცხადეს ხელბურთის ეროვნულ ასოციაციას. ეტყობა, არავინ დაგიდევს, რომ ასეთი დონის შეჯიბრება მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა და უპასუხისმგებლობისთვის მკაცრი სასჯელი არ აგვცდება: საქართველო სამი წელი შინიდან ვერ გაიხედავს.

როგორი საქმეა, ფული შუა იანვარში მოგცენ, პირველი თამაში კი ჰელსინკიში ცხრაშია დანიშნული. ნორმალურ ქვეყანაში ასეთი საკითხი, ცხადია, მოუგვარებელი არ რჩება.

ასეცაა: ქვეჯგუფში საქართველოს მეტოქეებმა (ფინეთი, ჰოლანდია, ავსტრია) ფულიც იშოვეს და თბილისში გამოსაფრენი ბილეთებიც აქვთ. როგორც ჩანს, იქ ჯერ არ იციან, რა არის საგაისო ბიუჯეტი.

ჩვენებს სასწაულის მოსახდენად ერთი-ორი დღეღა დარჩათ, მანამდე კი უიმედო ხელბურთელები გაყინულ დარბაზში ფეხბურთით ითბობენ თავს.

იხილეთ მეცამეტე გვერდი

# საახალწლო ნაჩუქრები

**ალარ დავისვენოთ?** სხვისი რა მოგახსენოთ და „სარბიელში“ შაბათიდან არდადეგები იწყება. მოკლედ, ყველაფერი ისეა, როგორც ახალი წლის დადგომა-შეხვედრას შეეფერება, მაგრამ ამ ბრიტანელებს რა დაასვენებს... თუმცა ამ თემაზე აქამდეც ბევრი გვითქვამს და შევეშვათ. ჯობს, ის მოვყვეთ, არ თუ ვერდასვენებულ პრემიერლიგაში გუშინ რა მოხდა.

გუშინ ინგლისში საშობაო საჩუქრების გახსნის დღე იყო. ჰოდა, დასაჩუქრდნენ კიდეც. „ლივერპულს“ ბირმინგემში მსაჯმა ენდი დურსომ გაუკეთა საშობაო საჩუქარი, თანაც ორი: ჯერ პენალტი დაარტყმევინა და რაკი იარი ლიტმანენმა საჩუქარი ვერ შეიშნო, დურსომ გული აღარ დაწყვიტა და მოგვიანებით ფინელს... საგოლე პასი ჩააწოდა. კიდევ იტყვიან, მსაჯები ბოროტი ადამიანები არიანო, თუმცა მეორე მხრივ, „ასტონ ვილასაც“ ჰკითხეთ.

ეჰ, ბოლომდე ვინ გაგახარებს. ლივერპულელები ეგებ თავში იცემენ ხელს, ეს რა კაცი გავყიდეთო. რობი ფაულერზე მოგახსენებთ, რომელმაც „ლიდსისთვის“ ჰეთ თრიქი შეასრულა. ლივერპულელთა ყოფილმა კაპიტანმა, რაც ახალ გუნდში გადავიდა, სამჯერ ითამაშა და ხუთი შეაგდო — აბა, ამ კაცის გაყიდვა იქნებოდა?! და მაიკლ ოუენიც რომ უსაჩუქროდ დარჩა — გაიყინა ბიჭი ოთხმოცდაცხრამეტზე, მეასე გოლს რა ხანია, ელის და არ ელირსა. ჰო, ბოლომდე ვერც ფაულერმა გაიხარა — გაეტანა მეოთხეც, რა იქნებოდა, არადა, რა ახლოს იყო, პენალტი უნდა დაერტყა ზუსტად...

ფაულერმა თუ „ლიდსი“ დაასაჩუქრა, „ლიდსმა“ თავის მხრივ ჯონათან ვუდგეიტი გაიხსენა და თორმეტი თვის უთამაშებელი ხულიგანი მოედანზე შეუშვა.

განგებამ არც სოლ კემპბელი დაივიწყა, პირველი არსენალური გოლი გაატანინა. ორი საჩუქარი ერგო ჯეინ ბექემს: ძმამ საგოლე პასი გააკეთა, შეყვარებულმაც გოლი მიითვალა. შეყვარებული კი „ვესტ ჰემის“ ჯერმენ დეფოა, რომელმაც გიორგი ქინქლაძე და მისი „დერბი ქაუნთი“ უსაჩუქრად დატოვა. ისე, „დერბი“ დეფოს გოლის გარეშეც უსაჩუქრად რჩებოდა.

სამაგიეროდ, გოლით გაილამაზა დამდეგი ახალი წელი შოთა არველაძემ, რომლის „რეინჯერსმაც“ შოტლანდიის პრემიერლიგაში სტუმრად „ჰიბერნიანი“ 3:0 დაამარცხა. ჩვენებურმა მესამე რეინჯერსული პენალტით გაიტანა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS

„არსენალი“ — „ჩელსი“. სტუმარი ეიდურ გუდიონსენი (მარცხნივ) სოლ კემპბელმა (შუაში) და პატრიკ ვიეირამ ბურთიანად მოისროლეს




REUTERS

გუშინ ნიკოლა ანელკამ „ლივერპულში“ პირველად ითამაშა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIX ტური

**არსენალი 2:1 ჩელსი**

0:1 ლამპარდი (31), 1:1 კემპბელი (49), 2:1 ვილტორდი (70)

არსენალი: ს. ტეილორი, ეშლი კოული, კიოუნი, ს. კემპბელი, პირესი, ლიუნგბერგი (ვილტორდი 67), ლორენი, პარლოუ (ვან ბრონკჰორსტი 46), ვიეირა, ანრი, ნ. კანუ (ბერგკამპი 73)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ჩელსი: კუდიჩინი, ბაბაიარო, მელხიოტი, ტერი, ლე სო (ძოლა 83), გალასი, ლამპარდი, პეტი, სტანიჩი (დალა ბონა 73), ჰასელბაინკი, გუდიონსენი (ფორსელი 83)

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: სტანიჩი, კიოუნი, კუდიჩინი, ლე სო, კანუ, ბაბაიარო

მსაჯი: ბარბერი

38 079 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 4:0 დერბი ქაუნთი**

1:0 შერინგემი (4), 2:0 დი კანიო (74), 3:0 სინკლერი (86), 4:0 დეფო (89)

ვესტ ჰემი: ჯეიმსი, შეფილი, უინტერბერნი, რეპკა, დეილი, ტ. სინკლერი, კარიკი, ჰატჩისონი, ჯ. კოული, დი კანიო (მონკუ 88), კანო (დეფო 74)

მწვრთნელი: გლენ როედერი

დერბი ქაუნთი: პოომი, მავენი, რიგოტი (ბოლდერი 61), ჰიგინბოთემი, ბოერტიენი, გრენე, ზავანი, დ. პაუელი, დიუკრო (ქინქლაძე 46), კარბონე, რავანელი

მწვრთნელი: კოლინ ტოდი

გაფრთხილება: ზავანი, რეპკა, კარბონე, კარბონე, გრენე

გაძევება: კარბონე (54)

მსაჯი: პოლი

31 397 მაყურებელი

**ბოლტონი 0:3 ლიდსი**

0:1, 0:2, 0:3 ფაულერი (2, 16, 89)

**ფულჰემი 0:0 ჩარლტონი**

**საუთჰემპტონი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 ბიტი (56)

**ასტონ ვილა 1:2 ლივერპული**

0:1 ლიტმანენი (9), 1:1 ლ. ჰენდრი (20), 1:2 შმიცერი (73)

**ბლეკბერნი 0:3 სანდერლენდი**

0:1, 0:2 ნ. ქუინი (17, 32), 0:3 კილბეინი (88)

**ევერტონი 0:2 მანჩესტერი**

0:1 გიგზი (72), 0:2 ვან ნისტელროი (85)

**იფსვიჩი 2:0 ლესტერი**

1:0 მ. ბენტი (48), 2:0 პერალტა (54)

**ნიუკასლი 3:0 მიდლსბრო**

1:0 შირერი (28), 2:0 სპიდი (58), 3:0 ბერნარი (82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 19 | 12 | 3 | 4 | 37:23 | 39 |
| არსენალი | 19 | 10 | 6 | 3 | 39:23 | 36 |
| ლივერპული | 18 | 11 | 3 | 4 | 28:18 | 36 |
| ლიდსი | 19 | 9 | 8 | 2 | 29:17 | 35 |
| მანჩესტერი | 19 | 10 | 3 | 6 | 45:28 | 33 |
| ჩელსი | 19 | 7 | 9 | 3 | 29:15 | 30 |
| ტოტენჰემი | 19 | 8 | 3 | 8 | 30:26 | 27 |
| ასტონ ვილა | 19 | 7 | 6 | 6 | 25:24 | 27 |
| სანდერლენდი | 19 | 7 | 5 | 7 | 17:17 | 26 |
| ფულჰემი | 18 | 5 | 9 | 4 | 17:17 | 24 |
| ვესტ ჰემი | 19 | 6 | 6 | 7 | 24:30 | 24 |
| ჩარლტონი | 19 | 5 | 8 | 6 | 21:22 | 23 |
| ევერტონი | 19 | 6 | 5 | 8 | 23:25 | 23 |
| ბლეკბერნი | 19 | 5 | 7 | 7 | 25:24 | 22 |
| ბოლტონი | 19 | 5 | 6 | 8 | 21:29 | 21 |
| მიდლსბრო | 18 | 5 | 4 | 9 | 17:26 | 19 |
| საუთჰემპტონი | 18 | 6 | 1 | 11 | 19:30 | 19 |
| დერბი ქაუნთი | 19 | 4 | 4 | 11 | 14:35 | 16 |
| იფსვიჩი | 19 | 3 | 6 | 10 | 19:28 | 15 |
| ლესტერი | 19 | 3 | 6 | 10 | 12:34 | 15 |

### I დივიზიონი. XXVI ტური

**სტოკპორტი 1:3 ბარნსლი**

0:1 შერონი (15), 0:2 პალმერი (49პ.კ.), 0:3 მორგანი (78), 1:3 კუქი (84)

**ბრედფორდი 1:2 შეფილდ იუნაიტედი**

0:1, 0:2 ასაბა (12, 53), 1:2 უორდი (59)

**ჯილინგემი 2:0 პორტსმუთი**

1:0 კინგი (21), 2:0 შოუ (29)

**გრიმსბი 0:1 ქოვენტრი**

0:1 პიუზი (40)

**მანჩესტერ სიტი 0:0 ვესტ ბრომვიჩი**

**მილუოლი 3:0 კრისტალ პალასი**

1:0 კლარიჯი (52), 2:0, 3:0 სადლიერი (53, 56)

**ნოტინგემი 2:0 ნორვიჩი**

1:0 პრატონი (23), 2:0 ჯონი (33)

**შეფილდ უენსდი 0:1 ბირმინგემი**

0:1 ჰორსფილდი (77)

**უოლსოლი 2:1 ქრიუ**

1:0 არანალდე (16), 2:0 ბიანკალანი (41), 2:1 ჯეკი (60)

**ვულვერჰემპტონი 2:3 პრესტონი**

1:0 სტარიჯი (19), 1:1 ჰელი (47), 1:2 ი. ანდერსონი (56), 2:2 ნ. ბლეიქი (65), 2:3 ჰელი (73)

**უიმბლდონი — უოტფორდი გადაიდო**

**როტერჰემი — ბარნლი გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 25 | 15 | 5 | 5 | 48:33 | 50 |
| სიტი | 25 | 14 | 4 | 7 | 55:34 | 46 |
| ვულვზი | 26 | 13 | 7 | 6 | 39:23 | 46 |
| ნორვიჩი | 26 | 14 | 3 | 9 | 35:35 | 45 |
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 13 | 5 | 8 | 28:21 | 44 |
| ქოვენტრი | 26 | 13 | 4 | 9 | 33:24 | 43 |
| მილუოლი | 25 | 12 | 6 | 7 | 42:28 | 42 |
| ბირმინგემი | 26 | 12 | 6 | 8 | 41:32 | 42 |
| პრესტონი | 26 | 10 | 10 | 6 | 42:33 | 40 |
| კრისტალ პალასი | 26 | 12 | 2 | 12 | 46:39 | 38 |
| უოტფორდი | 24 | 10 | 6 | 8 | 37:27 | 36 |
| ჯილინგემი | 26 | 10 | 6 | 10 | 39:37 | 36 |
| პორტსმუთი | 26 | 10 | 6 | 10 | 38:38 | 36 |
| შეფილდი | 26 | 8 | 11 | 7 | 30:31 | 35 |
| ნოტინგემი | 26 | 8 | 10 | 8 | 29:25 | 34 |
| უიმბლდონი | 25 | 8 | 8 | 9 | 40:39 | 32 |
| ბრედფორდი | 26 | 9 | 5 | 12 | 45:50 | 32 |
| როტერჰემი | 25 | 7 | 8 | 10 | 32:39 | 29 |
| ქრიუ | 25 | 7 | 8 | 10 | 26:39 | 29 |
| ბარნსლი | 26 | 7 | 7 | 12 | 38:51 | 28 |
| უოლსოლი | 26 | 7 | 5 | 14 | 30:42 | 26 |
| უენსდი | 26 | 5 | 9 | 12 | 27:40 | 24 |
| გრიმსბი | 26 | 5 | 7 | 14 | 22:48 | 22 |
| სტოკპორტი | 26 | 2 | 6 | 18 | 25:59 | 12 |

### II დივიზიონი. XXIV ტური

**კარდიფი 2:2 რედინგი**

**ქუინზ პარკი 0:0 ბრაიტონი**

**სუინდონი 0:0 ბორნმუთი**

**ბლეკპული 0:2 ოლდემი**

**კემბრიჯი 2:1 ბრენტფორდი**

**ჰადერსფილდი 3:1 პიტერბრო**

**ნორთჰემპტონი 2:3 კოლჩესტერი**

**პორტ ვეილი 1:0 ბრისტოლი**

**ტრანმერი 2:2 სტოკი**

**უიგანი 1:1 ბერი**

**რექსემი 2:1 ნოტსი**

**ჩესტერფილდი — უიკომბი გადაიდო**

### III დივიზიონი. XXIV ტური

**საუთენდი 4:2 რაშდენი**

**ექსეტერი 0:3 სუონსი**

**კიდერმინსტერი 4:1 როჩდეილი**

**პლიმუთი 2:2 ტორკი**

**როვერსი 5:3 ლეიტონი**

**ჩელტენემი 1:0 შრიუსბერი**

**მაკლსფილდი 1:1 ჰალიფაქსი**

**ოქსფორდი 1:2 ლუტონი**

**იორკი — ჰალი გადაიდო**

**კარლაილი — დარლინგტონი გადაიდო**

**ჰარტლპული — სკანთორპი გადაიდო**

**ლინკოლნი — მენსფილდი გადაიდო**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXI ტური

**ჰიბერნიანი 0:3 რეინჯერსი**

0:1 მური (16), 0:2 ფლო (85), 0:3 არველაძე (88პ)

რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, ლ. ამორუზო, ნუმანი, კ. მური (ტ. ვიდმარი 86), კონტერმანი, მორის როსი, ბ. ფერგიუსონი, შ. არველაძე, კანიჯა (ნ. მაკკანი 59), ლოვენკრანდსი (ფლო 74)

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

გაფრთხილება: კონტერმანი, რიკსენი

გაძევება: მაკმანუსი (87, „ჰიბერნიანი“), უ. ლაურსენი (87, „ჰიბერნიანი“)

მსაჯი: მაკკარი

14 021 მაყურებელი

**სელტიკი 3:2 ლივინგსტონი**

1:0 მორავჩიკი (12), 1:1 რუბიო (37), 2:1 ლარსონი (50), 2:2 კინო (58), 3:2 ლარსონი (90)

**დანდი იუნაიტედი 0:2 ჰარტსი**

0:1 ველსი (33), 0:2 ფულერი (46)

**კილმარნოკი 0:0 დანფერმლაინი**

**მაზერველი 1:2 სენტ ჯონსტონი**

0:1 მიურეი (9), 0:2 მაკდონალდი (38), 1:2 მაკფადენი (90)

**აბერდინი — დანდი გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 20 | 18 | 1 | 1 | 47:11 | 55 |
| რეინჯერსი | 21 | 13 | 6 | 2 | 48:17 | 45 |
| ლივინგსტონი | 20 | 10 | 7 | 3 | 30:16 | 37 |
| აბერდინი | 20 | 10 | 3 | 7 | 31:28 | 33 |
| კილმარნოკი | 21 | 8 | 4 | 9 | 22:24 | 28 |
| ჰარტსი | 21 | 8 | 3 | 10 | 28:27 | 27 |
| დანდი | 20 | 6 | 5 | 9 | 20:30 | 23 |
| დანფერმლაინი | 21 | 6 | 4 | 11 | 23:37 | 22 |
| დანდი იუნაიტედი | 21 | 5 | 7 | 9 | 22:37 | 22 |
| ჰიბერნიანი | 21 | 5 | 6 | 10 | 26:33 | 21 |
| მოზერუელი | 21 | 4 | 6 | 11 | 25:41 | 18 |
| სენტ ჯონსტონი | 21 | 3 | 4 | 14 | 15:36 | 13 |

### I დივიზიონი. XX ტური

**პარტიკი 2:1 ეარი**

**რეითი — ფოლკირკი გადაიდო**

### II დივიზიონი. XVIII ტური

**სტენჰაუსმუირი — ფორფარი გადაიდო**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ლაშა ნოზაძე

# ტყებუჩავამ ვეტერინარების მკურნალობა დაიწყო

**გუშინ** „ვიტ ჯორჯიამ“ თითქმის ერთთვიანი არდადეგები დაასრულა და უმაღლესლიგელთაგან საგაზაფხულო ეტაპისთვის სამზადისს პირველი შეუდგა. ვიტელთა მასპინძელი ვაკის მძლეოსნობის მანეჟი და ავთანდილ ბერიძე იყო.

შუადღის პირველ საათზე შეუდგნენ ყოფილი ვიცე-ჩემპიონები ოფლის ღვრას, შუა გზაზე გაუჭირდათ, ცოტაც წაიწუწუნეს, მაგრამ მთელი სამწვრთნელო კორპუსი მათთან ერთად ვარჯიშობდა და შერცხვათ ბიჭებს, სიტყვის უთქმელად, ბოლომდე გაუძლეს მოთხოვნებს.

გუშინ მოვარჯიშე ვიტელებში თვალს ვერ მოჰკრავდით აწ უკვე ყოფილ კაპიტანს ალექსანდრე გოგობერიშვილს. მან „დინამოში“ ირჩია კარიერის გაგრძელება. ვაკეში არ მისულან თენგიზ კობიაშვილი, გიორგი არეშიძე და ლევან სანიკიძე. ისინი ბენდელას თასზე თი-ბი-სი-ის გუნდში თამაშობენ და ვარჯიშის დროს მეოთხედფინალური მატჩისთვის ემზადებოდნენ.

ვერც ზურაბ მეტრეველს, ლაშა ნოზაძეს და სანდრო იაშვილს ნახავდით. გოჩა ტყებუჩავას დაჟინებული მოთხოვნით, სამეულმა ოტოლარინგოლოგს მიაკითხა და ცხვირი შეილამაზა. პოლიპები სუნთქვაში ხელს გიშლით და მოიშორეთო, უთქვამს ტყებუჩავას.

მირზა მერლანი ფეხს შეუწუხებია და მანეჟში არ იყო, სერგო ჭურაძე კი ჯერაც სარეაბილიტაციო პერიოდს გადის და ტრავმის შემდეგ ჯანზე მოსასვლელად „ლაგუნა ვერეს“ სატრენაჟორო დარბაზში დადის.

ვაკეში ლევან მელქაძემ და დავით დიღმელაშვილმაც შეიარეს. ბიჭები მოიკითხეს, ხვალიდან ჩვენც შემოგიერთდებითო, დაიბარეს და წავიდნენ.

„ვიტ ჯორჯიაში“ ერთი ახალი მოთამაშეც გამოჩნდა, გუშინ ვიტელებთან ერთად საშემოდგომო ეტაპის შემდეგ „დინამოდან“ დათხოვნილი ნიკა თუთარაშვილი ვარჯიშობდა. კლუბის ხელმძღვანელების თქმით, მისი გავეტერინარება დროის ამბავია.

ვიტელები მიყოლებით კიდევ სამ დღეს მოიდენენ ოფლს, მერე ახალ წელიწადს შეხვდებიან და ნაახალწლევს ვარჯიშს განაახლებენ.

**მამუკა კვანტალიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპაში ბრიტანელთა გარდა ყველამ დასასვენებლად მოიცალა. ბუნებრივია, გიორგი ქინქლაძის, რატი ალექსიძის, თემურ ქეცბაიას, ზურაბ ხიზანიშვილისა და შოთა არველაძის გარდა ქართველი ლეგიონერები ნელ-ნელა საქართველოსკენ მოემართებიან.

ზოგიერთები უკვე გამოჩდნენ სპორტის სასახლეში მიმდინარე ბენდელას თასის გათამაშებაზე. ჯერ მხოლოდ სამი მათგანი თამაშობს, მაგრამ ტურნირის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ დავით მუჯირს, გოჩა ჯამარაულს და გიორგი დეკანოსიძეს დანარჩენებიც მიჰბაძავენ.

აქამდე ჩვენი ლეგიონერების არც ერთი სიახლე არ გამოგვრჩენია, მაგრამ წლის ბოლოს უპრიანი იქნება, ზოგიერთი მათგანის მდგომარეობა კიდევ ერთხელ შევახსენოთ მკითხველს.

# მინი ფეხბურთზე გაგონილი მინი ამბები



გიორგი დეკანოსიძე

*დავით მუჯირი*

წავა ვასტიჩი და ძირითადში ითამაშებ, ასე ამშვიდებდნენ „შტურმის" თავკაცები ჩვენებურს. მუჯირიც ავსტრიულ ჩემპიონატს ეჩვეოდა და ვარჯიშობდა. გამოხდა ხანი და მწვრთნელმა ივიცაოსიმმა მუჯირის მოედანზე გაყვანას უხშირა. ჯერ სათასო მატჩში, მერე ჩემპიონატის თამაშებში, ბოლოს სასტარტოშიც ანდო ადგილი. ჩვენებურმაც თავი არ შეირცხვინა და თითქმის ყოველი ბოძებული შანსი ასე თუ ისე გამოიყენა.

— ვერ ვიტყვი, რომ მომავალი წლიდან ძირითადში აუცილებლად ვიქნები, მაგრამ თანდათან რომ უკეთესობისკენ მიდის საქმე, ფაქტია. გაყიდიან თუ არა ვასტიჩს, არ ვიცი, ამას არც ველოდები, ვეცდები, ძირითადში უამისოდაც დავიმკვიდრო ადგილი. 1 იანვარს მივემგზავრები, მოსამზადებელი ეტაპი გვეწყება, ასე რომ, საქართველოში ახალ წელს ხეირიანად ვერც შევხვდები.

დროის სიმცირის გამო ახლობლებს მონატრებული მუჯირი სპორტის სასახლეში დიდხანს არ ჩერდება. მოირბენს, ბენდელას თასზე „საბურთალოს" გოლით შეეშველება და თამაშის დამთავრებისთანავე ოჯახისკენ მიიჩქარის.

*გიორგი დეკანოსიძე*

მას „ფიურტში" თითქოს ხელი ჰქონდა ჩაქნეული. ძირითადის თავკაცი მისკენ არც იყურებოდა და არც სათადარიგო გუნდის მწვრთნელი იჩენდა საკადრის ყურადღებას.

ერთ მშვენიერ დღესაც კლუბმა ძველი მწვრთნელი დაითხოვა და დეკანოსიძის ერთფეროვანი ცხოვრებაც სასიკეთოდ შეიცვალა.

„მჯერა შენი ტალანტის, მონდომებული ბიჭიც ჩანხარ და დღეიდან ძირითად გუნდში იქნები" — ახალმა მწვრთნელმა დანიშვნიდან რამდენიმე დღეში მიაქცია ქართველს ყურადღება. ფეხბურთელებს გამოჰკითხა მისი ავანჩავანი, თავადაც დაელაპარაკა და შანსიც მისცა.

ითამაშა 75 წუთი დეკანოსიძემ, თავი მოაწონა ახალ თავკაცს და სასიხარულო სიტყვებიც მოისმინა: „როგორიც ხარ, ისეთი მომწონხარ, რალაცეებს დავხვეწთ და კიდევ უკეთესი იქნები. ახლა წადი, დაისვენე, 3 იანვარს კი გელოდები, მეორე წრისთვის უნდა მოვემზადოთ." ამ სიტყვების გამგონეს აბა, რა მოაწყენდა. ამიტომაცაა, გიორგი დეკანოსიძე ბენდელას თასზე ალმაფრენით რომ თამაშობს.

*გოჩა ჯამარაული*

„ციურიხის" ლიდერია გოჩა. უმისოდ გუნდი გამართულად ვერ თამაშობს და კლუბის თავკაცებიც ქართველებს უნდა უმადლოდნენ, საპრიზოებისთვის რომ იბრძოლებენ.

5 იანვარს უნდა დავბრუნდე. ჯერჯერობით ახალს ვერაფერს გეტყვით, მოსამზადებელი ეტაპი დაიწყება და ევებ გავძლიერდეთ კიდეც — გვითხრა გოჩამ.

*გიორგი ჩიხრაძე*

ქართული ფეხბურთის კიდევ ერთ ვეტერანს თითქოს მეორე სუნთქვა გაეხსნაო. ახალგაზრდობა გაიხსენა გიორგი ჩიხრაძემ და კარგ ფორმაშიც გახლავთ. მიუხედავად ამისა, მისი ბეით შანის „ჰაპოელი" საშიშ ზონაშია. გუნდი უფულობამ შეაწუხა, მაგრამ არა უშავს, არ გავვარდებითო, ირწმუნება ჩიხრაძე. „ჰაპოელის" პრობლემები ისრაელშია საფიქრალი, თორემ თბილისში მალე ახალი წელი შემოაბიჯებს და ჩიხრაძეც აქ შეეგებება.

*გიორგი ნემსაძე*

ტრავმამ ლამის ნახევარი სეზონი გამოატოვებინა. ოპერაციის შემდეგ აღდგენითი პროცესიც ნორმალურად მიდის და თბილისშიც შეხვდება ახალ წელს. მერე ჯანზე მოსვლასა და „დანდის" ექვსეულში მოხვედრაზე იფიქრებს.

*ფრაიბურგელები*

ფინკეს ბიჭები თბილისში არიან. მართალია, ჯერ სპორტის სასახლეში არ გამოჩენილან, მაგრამ აუცილებლად ვითამაშებთო. ისე, მგზავრობისას ძლიერ გაწვალებულან, ჯერ ავიარეისს ვერ მიუსწრეს, მერე ბარგი დაუკარგავთ, თუმც ოჯახებს მშვიდობით უწიეს და ახალ წელიწადსაც დედაქალაქში შეხვდებიან.

** გამუკა ძვანტალიანი**


დავით მუჯირი (მარჯვნივ) ავსტრიაში წასვლამდე თბილისში ბურთაობს


„ნაძალადევს" დავით ბოლქვაძემ (წინა პლანზე) გაუტანა

# ბერლინის კედელი სპორტის სასახლეში დაინგრა

## ბენდელას თასმა ჩემპიონი დაკარგა

**ბენდელას თასი**

**გუშინ** სპორტის სასახლეში „ბენდელას თასის" გათამაშების მეოთხედფინალური მატჩები გაიმართა. პირველად მოედანზე შარშანდელი გამარჯვებული „ნაძალადევი" და „შევარდენი" გავიდნენ. ფავორიტად, რა თქმა უნდა, „ნაძალადევი" ითვლებოდა, თუმც გოჩა ჯამარაულისა და მისი თანაგუნდელებისთვის „შევარდენი" კერკეტი კაკალი გამოდგა. მატჩი კარგი სანახავი იყო, მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ. სულიკო დავითაშვილმა კი ჩემპიონები გვარიანად გააწამა. ცალკე აღნიშვნის ღირსია „ნაძალადევის" კარის დარაჯი აკაკი დევაძე. ერთ დროს საქართველოს ეროვნული ნაკრების გოლკიპერი ამ დღეს ბერლინის კედელივით იდგა კარში. დევაძემ ურთულესი დარტყმები მოიგერია და მნიშვნელოვნად განაპირობა საბოლოო ანგარიში. ბურთი კი მას თანაკლუბელმა დავით ბოლქვაძემ გაუტანა შეხვედრის პირველ ნახევარში. „შევარდენს" ამის შემდეგაც მრავლად ჰქონდა გატანის შანსი, თუმც, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, აკაკი დევაძე საიმედოდ იდგა. „ნაძალადევმა" პირველ ტაიმში ვერაფერი შეძლო, მეორეში კი დავით ბაქრაძემ ისეთი გაისროლა, ბადე გახია (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით). მეტოქეებმა მერეც ბევრი ხიფათი შექმნეს ერთმანეთის კართან, თუმც მეტად ვერ იხეირეს. გუნდებმა გოლის გატანა ვერც დამატებით დროში შეძლეს. პენალტების სერიაში კი აკაკი დევაძემ, მაყურებელთა დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, ვერ ივარგა და „შევარდენიც" დამსახურებულად გავიდა ნახევარფინალში. გადამწყვეტი პენალტი კი გოჩა ჯამარაულმა გააცუდა.

დაძაბული ბრძოლა იყო „თბილისი" — „ტორპედოს" მატჩშიც. კახა დაუშვილმა „თბილისი" პირველივე ტაიმში დააწინაურა. დედაქალაქელები მერეც აქტიურად თამაშობდნენ და მეტოქეს მარწუხებს უჭერდნენ. გუნდის თამაშით რევაზ ძოძუაშვილი კი — მსაჯებს შემოსწყრა და უკმაყოფილება საჯაროდ გამოხატა. თუმც აჯობებს, „ტორპედოს" თავკაცმა თავის შეგირდებს მეტოქის კარისკენ სავალი გზები ასწავლოს, ქუთათურებს ხომ პირველ ტაიმში „თბილისის" კარისკენ ხეირიანადაც არ დაურტყამთ. მეორე ნახევარში ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა. „თბილისმა" უკან დახევა და პრესინგი არჩია, რამაც „ტორპედოს" შეტევის საშუალება მისცა. ამან შედეგი მალე მოიტანა — დევიძის, თოდუასა და ახალკაცის გოლებმა ქუთაისელები 3:1 დააწინაურა, რასაც „თბილისმა" მხოლოდ ვალერი გაგუას პენალტით უპასუხა და საბოლოოდ 2:3 დამარცხდა.

მოულოდნელად დაიწყო თი-ბი-სი — „ბაასი ლიდერის" მატჩი. ბაღდათელებმა საწყის წუთებში კახა ახალაძისგან გოლი გაუშვეს და სპორტის სასახლეში მორიგი სენსაციის სუნი დადგა, თუმც „ბაასმა" საკუთარ თავში ძალა გამონახა და ახალგაზრდა სეფერთელაძის გარჯის წყალობით თამაში შემოაბრუნა. თი-ბი-სის აშკარად ეტყობოდა ვიტჯორჯიელი თენგიზ კობიაშვილის არყოფნა, ბაღდათელთაგან კი თავი სეფერთელაძემ, თორთლაძემ და დევდარიანმა გამოიჩინეს.

ბოლო მეოთხედფინალური წყვილი ყველაზე სუსტი გამოდგა. „ნაძალადევის" გავარდნის შემდეგ ჩემპიონობის უპირველესმა ფავორიტმა „საბურთალომ" ცალი ფეხით მოუგო ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ „ლოკომოტივს". ამ შეხვედრაში დავით მუჯირმა დუბლი მიითვალა და თასთან ერთად ბომბარდირობისთვის ბრძოლასაც აგრძელებს.

დღეს კი სპორტის სასახლე ნახევარფინალებს უმასპინძლებს:

**ტორპედო — საბურთალო**
**შევარდენი — ბაასი**

**კახა შალამბერიძე**

26 დეკემბერი

**ნაძალადევი 1:1 დ.დ.(პენ.3:4, 1:1) შევარდენი**

გოლები: 0:1 ბოლქვაძე, 1:1 ბაქრაძე
გაფრთხილება: ბაქრაძე

**თბილისი 2:3 ტორპედო**

გოლები: 1:0 დაუშვილი, 1:1 დევიძე, 1:2 თოდუა, 1:3 ახალკაცი, 2:3 გაგუა (პენ.)
გაფრთხილება: აბრამიძე, სანიკიძე, აკოფიანი
გაძევება: აბრამიძე

**თი-ბი-სი 1:3 ბაასი**

გოლები: 1:0 ახალაძე, 1:1 სეფერთელაძე, 1:2 თორთლაძე, 1:3 დევდარიანი
გაფრთხილება: სეფერთელაძე, ბარნოვი
გაძევება: ადამია

**საბურთალო 5:2 ლოკომოტივი**

გოლები: 1:0, 2:0 დ. მუჯირი, 3:0 გოგიჩაიშვილი, 4:0 ანჩაბაძე, 4:1, 4:2 არუდაშვილი, 5:2 დათვაძე

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| 8 - დავითაშვილი | შევარდენი |
| 6 - მოსულიშვილი | ნაძალადევი |
| დ. მუჯირი | საბურთალო |
| 4 - სანიკიძე | თბილისი |
| ბოლქვაძე | შევარდენი |
| თორთლაძე | ბაასი |
| გაგუა | თბილისი |

**ბავშვთა ტურნირი**

**მეოთხედფინალური მატჩები**

26 დეკემბერი:

თბილისი 2000 1:0 დინამო 2 (თბილისი)
შევარდენი 1906 (თბილისი) 2:1 ირაო 2 (თბილისი)
დინამო (ბათუმი) 3:0 საბურთალო 2 (თბილისი)
ირაო 1 (თბილისი) 3:0 ოლიმპიკი (თბილისი)

**ნახევარფინალის წყვილები**

ირაო 1 (თბილისი) — დინამო (ბათუმი)
შევარდენი 1906 (თბილისი) — თბილისი 2000



ბევრი ამბავი გადახდა თავს წლეულს თბილისის „დინამოს", რთული და უცნაური პერიპეტიები გაიარა გუნდმა და მეექვსე ადგილით ეგებება შობა-ახალწელს. ჩვენი რესპოდენტი „დინამოს" ახალი პატრონის წარმომადგენელი და კლუბის იურისტი ნიკა კობალავა გახლავთ.

# დინამოს ჩვენ დავალაგებთ, საპირფარეშოებს ფედერაციამ მიხედოს

— დაახლოებით ოთხი თვეა, რაც „დინამოს" ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. თქვენ ალბათ ბიზნეს-გეგმა გაქვთ შედგენილი და რამდენად წარმატებულად ხორციელდებოდა ის ამ ხნის მანძილზე?

— გეგმების განხორციელებაზე საუბარი ჯერ ადრეა, უბრალოდ, ნაბიჯები გადავდგით ამისკენ. პირველი რიგში ის, რომ გიორგი დემეტრაძესთან დავიწყეთ მოლაპარაკება. მისი „დინამოში" გადმოსვლის შანსები ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა. ამ მოლაპარაკებას ახალი სეზონის დაწყებამდე დავასრულებთ. თემურ ქეცბაიას გადმოყვანასაც ვაპირებთ. გეგმები კი იმისკენ მიდის, რომ 2003-04 წლების სეზონში „დინამომ" ჩემპიონთა ლიგაში ითამაშოს — ეს პროგრამა-მინიმუმია.

— თქვენ ერთხელ თქვით, რომ საფეხბურთო ბიზნესში ახალი ხალხი ხართ. ეს ალბათ გიქმნით უხერხულობას — თქვენ ხომ რიგითი კლუბი კი არა, თბილისის „დინამო" ჩაიბარეთ.

— არა, რადგან საფეხბურთო ბიზნესში ძველები ვინც იყვნენ და თბილისის „დინამოში" მოღვაწეობდნენ, რა შედეგიც მოჰყვა ამას, ყველამ ვიცით. ახლა მოდით, ვნახოთ ის ხალხი, ვინც ბიზნესში ახალი არ არის, მაგრამ საფეხბურთო ბიზნესს ახლა იწყებს.

— „დინამოს" ძველი ხელმძღვანელობის დროს, გუნდი მეექვსე ადგილამდე არ ჩასულა და ეროვნული ნაკრების თითქმის ყველა ფეხბურთელმა „დინამოს" სკოლა გაიარა...

— ცხადია, ეს დიდი საქმეა, მაგრამ ჩვენ მას ცოტა სხვანაირად ვუყურებთ. ამ შემთხვევაში ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ „დინამომ" გაზარდოს ფეხბურთელი და „მილანს" მიჰყიდოს, პირიქით, ლაპარაკია იმაზე, რომ „მილანმა" გაზარდოს ფეხბურთელი, რომელსაც „დინამო" შეიძენს. რა თქმა უნდა, ასეთი იდეები ახლა ჩვენც ფანტასტიკის სფეროდ მიგვაჩნია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამას შევძლებთ.

— საქართველოში ერთობ ერიდებიან დიდი ინვესტიციების ჩადებას. მიუხედავად ამისა, კონსერციუმმა „ვორლდ სპორტ პარტნერშიფმა", რომლის პარტნიორი ბადრი პატარკაციშვილია, ეს გააკეთა. საქართველო პოლიტიკურად არასტაბილური ქვეყანაა, ხვალ შეიძლება დღეს არსებული რეჟიმი აღარ იყოს, ხელისუფლებაში ჟვანია-სააკაშვილის გუნდზე უფრო რადიკალური ოპოზიციური ძალა მოვიდეს, იარაღიანი ხალხის თარეშიც კარგად გვახსოვს. როგორ ფიქრობთ, აქვს ბადრი პატარკაციშვილს ისეთი გარანტიები, რომ ქვეყნის ხელისუფლების შეცვლის ნებისმიერ ვარიანტში გააგრძელოს „დინამოს" პატრონობა? თანაც ბადრი პატარკაციშვილის პერსონაზე ერთი მითქმა-მოთქმა საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკურ წრეებში.

— მე ასე მაქვს ყველაფერი წარმოდგენილი — თბილისის „დინამო" წარმატებულად გააგრძელებს ფუნქციონირებას, მაგრამ თუ ისევ ომობანა ატყდება... ისე კი ვერ გამიგია, რა პრეტენზია უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას „დინამოსთან", თუნდაც იგივე ჟვანია-სააკაშვილის გუნდს.

— ბიზნესურ ასპექტებს დავუბრუნდეთ. თქვენთვის, როგორც ბიზნესში მომუშავე კომპანიასა და ხალხის იმიჯზე, როგორ იმოქმედებს ის ფაქტი, რომ „დინამოდან" წარმატებით მომუშავე ადამიანები ყოველგვარი ეტიკეტის დაცვის გარეშე გაუშვით. მიზეზად ეგრეთ წოდებული „ახალი ფურცელიც" ახსენეთ — რამდენად მიღებულია ასეთი განმარტება ბიზნესში და განსაკუთრებით საფეხბურთო გუნდში, რომელიც განსაკუთრებული და სათუთი მექანიზმია?

— მოდით, ვილაპარაკოთ კონკრეტულად ვის გულისხმობთ. მე არ გამიგია, რომ ბატონი რევაზ არველაძე უკმაყოფილოა ჩვენი გადაწყვეტილებებით. რევაზ არველაძე სხვა თემაა, გოჩა ტყებუჩავა და ნიკა ჩხეიძე სულ სხვა, მესამე თემაა ტრანსფერზე დაყენებული ფეხბურთელები. რევაზ არველაძეს საკმაოდ კორექტული პოზიცია უჭირავს ბიზნესის ასპექტების თვალსაზრისით, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენებზე, იგივე ტყებუჩავასა და ჩხეიძეზე — მათი პოზიცია სწორი არ არის არც ერთი პარამეტრით.

რაც შეეხება ზემოხსენებულ გადაწყვეტილებას, ის მივიღეთ ორი მიზეზით — მართლა ახალი ფურცლიდან დაგვეწყო საქმე და აგრეთვე, ჩვენი გარკვეული მოსაზრებები გაგვაჩნდა. მეტსაც გეტყვით, ტყებუჩავასა და ჩხეიძეს შევთავაზეთ, გუნდში დარჩენილიყვნენ, ოღონდ სხვა თანამდებობაზე. ამაზე კატეგორიული უარი მივიღეთ და კონკრეტულად აღარ შემითავაზებია ახალი თანამდებობა.

— მაინც რა სტატუსის შეთავაზებას აპირებდით?

— არა მთავარ მწვრთნელის და მწვრთნელის. კლუბში სხვა ბევრი პოსტიცაა.

— მათ შორის დამლაგებლის...

— არა, ასეთ რამეს მათ არ ვაკადრებდი. კლუბში ხომ მართლაც კიდევ არის სხვა საქმეები გასაკეთებელი. რაც შეეხება უმადურობას, მათ ფულადი კომპენსაცია მიიღეს ჩვენგან და არა მგონია, ისინი უკმაყოფილონი იყვნენ. ახალი ფურცლის გადაშლას კი ჩვენ აი, ახლა ვიწყებთ.

— გასაგებია, თქვენ ცალსახად „ახალი ფურცლის" ფაქტორს ეყრდნობით, მაგრამ მაშინ რატომ არ მოჰყვა ამ „ახალ ფურცელში" გუნდის მთავარი მწვრთნელი გივი ნოდია?

— ალბათ იმიტომ, რომ გივი ნოდია საკმაოდ ავტორიტეტული სპეციალისტია, ჩვენ ასე ვთვლით.

— რის საფუძველზე თვლით, რომ გივი ნოდია ავტორიტეტული სპეციალისტია? მისი რომელი შედეგი გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?

— ყოველ შემთხვევაში, „დინამოს" წლეულს არცთუ ცუდი შედეგები ჰქონდა, თუ ბოლო მატჩებს არ ჩავთვლით.

— და თქვენ ეს გაკმაყოფილებთ?

— შარშანდელ შედეგთან შეიძლება შედარება. თუმცა, ცხადია, არც შარშანდელი, არც შარშანწინდელი და არც ახლანდელი არ გვაკმაყოფილებს.

— წინა სეზონში „დინამო" მესამე ადგილზე გავიდა, ახლა კი მეექვსეზე...

— მეექვსე გუნდი ახლაა, თორემ სეზონი შეიძლება მესამეზე დაამთავროს, ან მეორეზე, თუ პირველზე დაამთავრებს, ეს უკვე წარმატება იქნება. ისე, შარშანდელი მესამე ადგილიც ჩავარდნაა და თუ ამ სეზონში მეორეზე გავალთ, ესეც ჩავარდნა იქნება.

— როცა გივი ნოდია „დინამოში" მივიდა, კლუბს შსს პატრონობდა და როგორც ამბობენ, ის იმიტომ შემორჩა „დინამოს", რომ მას მაღალჩინოსანი პოლიციელები მფარველობენ. თქვენ რა კომენტარს გაუკეთებდით ამას?

— რა თქმა უნდა, ვიღაცა ვიღაცის მეგობარია და ეს ყოველთვის ასეა. უმეგობროდ არც დასავლეთში და არც ჩვენთან ხალხი არ ცხოვრობს, რაღაც გარკვეული ურთიერთობები არსებობს. ნოდიას და შსს-ს მეგობრობაზე კი ვერაფერს გეტყვით. ისე კი აბსურდი იქნებოდა, ქუჩიდან მოგვეყვანა კაცი და მისთვის საპასუხისმგებლო პოსტი ჩაგვებარებინა. რა თქმა უნდა, აქ მეგობრული და კარგი ურთიერთობები როლს თამაშობს. თუმც არ გამოვრიცხავ ისეთ ვარიანტს, რომ წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც ხდებოდეს შერჩევა, მაგრამ დამერწმუნეთ, რომ ნოდიას პოსტზე ყოფნის ძირითადი მიზეზი არ არის ის, რომ მას კარგი ურთიერთობა აქვს შსს-სთან. კადრების შერჩევას კლუბის აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავა განაგებს.

— თვითონ გია ფირცხალავა, როგორც ვიცით, საპარტნიორო საბჭომ დანიშნა. ვინ და რამდენ პიროვნება შედის ამ საბჭოში?

— მუდმივი რიცხვი არ არსებობს, სამი-ოთხი, მათ შორის მეც. ჩემს გარდა გია ფირცხალავა, კლუბის ფინანსური მენეჯერი თენგიზ ტატუნაშვილი და გივი ნოდია.

— „დინამოს" აქციათა 90 პროცენტის მფლობელი კონსერციუმი ვალდებულია, წელიწადში კლუბს მინიმუმ ათი მილიონი ლარი დაახარჯოს. რა თანხა გაიღო ამ კომპანიამ ჯერ და თუ აპირებს მომავალში კლუბის წლიური ბიუჯეტის გაზრდას.

— ასეთი ვალდებულება მართლაც არსებობს. ჯერჯერობით კი დაახლოებით 4 მილიონი ლარია დახარჯული. მომდევნო ეტაპზე კლუბის ბიუჯეტი საგრძნობლად გაიზრდება.

— და ასეთი ძვირი პროექტის განხორციელებას გივი ნოდიას ანდობთ?

— ეჭვი მეპარება იმაში, რომ ახალგაზრდა, დამწყები მწვრთნელები ასეთ მნიშვნელოვან პროექტს გაუძლვებიან. რაც შეეხება ნოდიას, ვფიქრობ, შესაძლებელია, მან ეს შეძლოს, მაგრამ ახალ ფურცელს ახლა ვშლით და ცოტა ხანი უნდა გვადროვოთ, ყველაფერი დალაგდება.

— ესე იგი, ახალგაზრდობას გზა უნდა მოუჭრათ?

— არა... ისე კი არც იმას გამოვრიცხავ, რომ გივი ნოდიაში ვცდებოდე და ვერ ვხვდებოდე პროექტის სიდიდეს.

— წელან დემეტრაძე ახსენეთ. ცხადია, „სოსიედადზე" ნაკლებ გასამრჯელოს მას არ შესთავაზებდით, მაგრამ დემეტრაძე „კამპ ნოუს" და „ბერნაბეუს" ჩვენს ჩემპიონატსა და სტადიონებს ამჯობინებს?

— ეს პრობლემა, ცხადია, მართლაც არსებობს. ჩვენ კლუბებს კი უჭირთ, მაგრამ სტადიონზე რომ ნორმალური საპირფარეშო მაინც მოაწყონ, ეს შეუძლიათ. ამაში სფფ უნდა ჩაერიოს და საპირფარეშოების საკითხი მაინც უნდა მოგვარდეს.

— დემეტრაძეს რომ კრისტოფ დაუმის „ბეშიქთაშმა" დაადგა თვალი...

— ვფიქრობ, თურქეთის ჩემპიონატის დონეს ძალიან დიდად არ ჩამოუვარდებით. „ბეშიქთაში" და თურქეთი იმით გვჯობია რომ იქ საპირფარეშოები არის.

— კიდევ იმით ხომ არა, რომ მწვრთნელად კრისტოფ დაუმი ჰყავს.

— დაუმი არ არის ის ფიგურა, რომ „დინამოში" მოვიყვანოთ.

— მას ხომ გერმანიის ეროვნულ ნაკრებს აბარებდნენ?

— იგივე თქვენს გამო შეგვექმნებოდა პრობლემები, ატყდებოდა ერთი ამბავი — კოკაინის მომხმარებელი ჩამოიყვანეთო.

— „დინამოზე" ისიც ითქვა, გარიგებული მატჩები ითამაშა.

— ეს აბსურდია. „კოლხეთთან" ვაწყობთ თამაშს და ვიგებთ, ხოლო „მერანთან" და „ვიტ ჯორჯიასთან" ვაგებთ — ეს არალოგიკურია.

— სფფ-მ რომ მაინც ჩამოგაკლოთ სამი ქულა, მერე რას იზამთ?

— არ ვარ მზად, ამ შეკითხვაზე პასუხი გაგცეთ. თბილისის „დინამოს" სახელი ამ კონტექსტში იმისათვის ამოტივტივდა, რომ „კოლხეთი" — „ტორპედოს" საქმე ჩაფარცხულიყო — ასეთია ჩემი კომენტარი.

— თქვენ „ვიტ ჯორჯიადან" გადმოიბირეთ ალეკო გოგობერიშვილი. რამდენი დაუჯდა „დინამოს" ეს ტრანსფერი?

— თუ „ვიტ ჯორჯია" ამის გამომზეურების ნებას მოგვცემს, არაფერს დაგიმალავთ — მანამდე კი თანხას ვერ გეტყვით.

— დაბოლოს, როდის იგრძნობს გულშემატკივარი იმას, რომ თანხების ჩადების გარდა „დინამოში" სერიოზული ცვლილებები მოხდება და გუნდს წინსვლა დაეტყობა?

— სავარაუდოდ, ეს გაზაფხულზე, მარტში უნდა მოხდეს.

**დავით თაბართქილაძე**



ქართველი მწვრთნელები მეცადინეობას დღეს მორჩებიან

# ბავშვი დარსაძეზე მკაცრი გამომცდელია

## ქართველმა მწვრთნელებმა სწავლა დააფასეს

**დეკემბერი** ქართული ფეხბურთისთვის სასიკეთო წამოწყებით დაიწყო. ფიფა-უეფას რეკომენდაციით და სფფ-ის ძალისხმევით საქართველოში მწვრთნელთა მომზადების ცენტრის დირექტორმა გაიოზ დარსაძემ B ლიცენზიის მაძიებელ მწვრთნელებს მოუყარა თავი და თითქმის ერთი თვეა, ნაყოფიერად მუშაობს მათთან.

B ლიცენზია ბავშვთა შორის მუშაობას ითვალისწინებს და აქედან გამომდინარე, ეს კურსები ერთობ მნიშვნელოვანია ქართული ფეხბურთისთვის, რადგან მოზარდებთან სამწვრთნელო ურთიერთობაში დაშვებულ შეცდომებს გამოუსწორებელი შედეგები მოაქვს.

ქართველ მწვრთნელებს მოსამზადებელი კურსების დაწყებისას იტალიელმა ფრანკო ფერარიმაც წააშველა თავისი დიდი გამოცდილება. ფერარი 4 დეკემბერს ჩამოვიდა თბილისში და სამი დღის განმავლობაში უზიარებდა თავის ცოდნას მსმენელებს.

დღეს B ლიცენზიის მსურველი მწვრთნელები შემაჯამებელ ლექციას მოისმენენ გაიოზ დარსაძისგან და 9 იანვრამდე გამოცდებისთვის მოემზადებიან. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, რას ფიქრობენ ერთთვიანი მეცადინეობის შემდეგ მწვრთნელები. ამ მიზნით გუშინ „დინამოს" დიღმის ბაზას ვეწვიეთ. სწორედ იქ ატარებს დარსაძე მეცადინეობას. „აბიტურიენტები" რომ დიდი შთაბეჭდილებების ქვეშ იმყოფებიან, ამაში თავადაც დარწმუნდებით.

*ირაკლი ჩუხუა, „ვაკე 91":*

— ამ მოკლე დროში ფასდაუდებელი ცოდნა შევიძინეთ. მეგონა, ბევრი რამ ვიცოდი ფეხბურთში, მაგრამ თურმე ვცდებოდი. მძინებია და ამ კურსებმა თვალი ამიხილა. ძველი თაობის მწვრთნელებისგან ვიცოდი, რომ ბავშვებთან მუშაობისას ნებისმიერი ვარჯიში დასაშვები იყო. ამის შედეგია დღესდღეობით სავალალო სიტუაცია რომ გვაქვს. დღეს ვიცი, რომ ბავშვთან ურთიერთობისას გამორჩეული ყურადღება და ინდივიდუალური მიდგომაა საჭირო. თითოეულ დატვირთვას თავისი დრო აქვს და ეტაპობრივად უნდა გამოვიყენოთ, თუ გვინდა სრულყოფილი შედეგი მივიღოთ.

მოუთმენლად ველი აქ მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს, მომცემს კი ჩვენი პირობები ამის საშუალებას? იმისთვის, რომ ელემენტარულად ბავშვს სწორი პასის გაკეთება ასწავლო, მინიმუმ კარგი მოედანი მაინც ხომ საჭიროა.

*კახა ჭუმბურიძე ს.ს. „საბურთალოს" დირექტორი:*

— კარგა ხანია, ფეხბურთში კი არა, საერთოდ საქართველოში ასეთი სერიოზული და ნაყოფიერი რამ არ ჩატარებულა. ამ კურსებმა მაფიქრებინა, რომ არ გვცოდნია, ისე ვკიდებდით ხელს იმ დიდ საპასუხისმგებლო საქმეს, რასაც ბავშვთა ფეხბურთში მუშაობა ჰქვია. გაიოზ დარსაძემ ფასდაუდებელი ცოდნა შეგვძინა და ვფიქრობ, აუცილებელია, ეს გზა ფეხბურთში მუშაობის ყველა მსურველმა გაიაროს. გარწმუნებთ, პრაქტიკულად უდიდეს სარგებელს ვნახავთ. მე საფეხბურთო სკოლის დირექტორი ვარ და ჩემი მწვრთნელები აქ მიღებული ცოდნის შესაბამისად იმოქმედებენ, ყველამ რომ თავ-თავის გუნდებში დანერგოს ის სიახლეები, რაც ამ ხნის მანძილზე მოვისმინეთ, შედეგი მართლაც თვალში საცემი იქნება.

*ზაზა ბაკურაძე, „ირაო":*

— დღითი დღე რაღაც ახალს ვგებულობთ და ვსწავლობთ. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანკო ფერარის ლექციებმა. გაიოზ დარსაძე კი ჩვეული პროფესიონალიზმით უძღვება საქმეს. დარწმუნებული ვარ, მალე კვალიფიციური ხალხი იმუშავებს ბავშვთა ფეხბურთში.

*დათო მახარაძე, „ავაზა":*

— ორი წლის წინ დავანებე თავი აქტიურ სპორტს. ერთი წელი უსაქმოდ ვიყავი და უფეხბურთობა მძიმე ტვირთად დამაწვა. ამ სემინარების შემდეგ ვიცი, თუ რა მინდა და როგორ გავაკეთო. ბედნიერი ვარ, რომ მწვრთნელობა ვირჩიე. მალე გამოცდები დაგვეწყება. დარსაძე გვეუბნება, რომ ეს ყველაფერი კეთდება არა იმისთვის, რომ გამოცდებზე ჩავიჭრათ, არამედ იმისთვის, რომ ვისწავლოთ, რაღაც შევიძინოთ. ჩვენ მართლაც დიდი რამ შევიძინეთ. დარწმუნებული ვარ, აქ მიღებული ცოდნა სულ მალე გამოჩნდება ჩვენს საქმიანობაში.

*გია ჯანგავაძე, „ნორჩი დინამოელი":*

— დღეს ჩემთვის ძალიან ადვილია იმ პრობლემის ახსნა, თუ რატომ ვერ ყალიბდება ქართველი მოზარდი ფეხბურთელად 14 წლის შემდეგ. ეს არის არასწორი ვარჯიშების შედეგი. დღეს ისიც ვიცი, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს მოზარდი ფეხბურთელად და ეს მთლიანად ამ კურსების და მწვრთნელთა მომზადების ცენტრის თავკაცის დამსახურებაა.

ვფიქრობ, ჩვენს დღევანდელ პირობებშიც შესაძლებელია აქ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება.

აფრიკაში უფრო უარესი პირობებია, ვიდრე საქართველოში, მაგრამ იქ ფეხბურთელებს ზრდიან. ზოგან ომია, მაგრამ ეს საფეხბურთო წინსვლას ხელს არ უშლის. ფეხბურთელის გაზრდა 25-მეტრიან მოედანზეც შესაძლებელია, მთავარია, იცოდე, როგორ უნდა გაზარდო.

მოკლედ, შთაბეჭდილებები მართლაც დიდია, სწორედ ამის შედეგია, რომ ბევრმა დამწყებმა მწვრთნელმა გამოთქვა „B კატეგორიის" მიღების სურვილი და ახალი წლიდან სავარაუდოდ დარსაძეს მსმენელთა რიგი დაუდგება. თუმც მანამდე „პირველი გამოშვების" გამოცდები იქნება.

**ბაატა ძვანტალიანი**

# გახსოვდეთ საფრანგეთი...

## პორტუგალია მსოფლიოს ჩემპიონობაზე ოცნებობს



ანტონიო ოლივეირა

**პორტუგალიის** ნაკრების 49 წლის მწვრთნელ ანტონიო ოლივეირას ოპტიმიზმი უსაფუძვლო ნამდვილად არ არის. მისი ტექნიკური და ელეგანტური გუნდი მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლება. პორტუგალიელთა სიძლიერეს აღიარებენ მწვრთნელებიც, ფეხბურთელებიც და ჟურნალისტებიც. სხვებს რომ თავი დავანებოთ, უკვე თბილისშიც ბევრი, ისეთი ადამიანი, აქედანვე რომ ამბობს, კორეა-იაპონიაში ფიგუსა და კომპანიას ვქომაგობთო.

ოლივეირა თავდაჭერილი კაცია, თავისი ბიჭების ავან-ჩავანი მასზე უკეთ, აბა, ვინ იცის, ამიტომ ბაქიაობას ერიდება და საკითხს ფილოსოფიურად უდგება: „დღეს ბევრი ადამიანი ჩემპიონატის ფავორიტებად მიგვიჩნევს, გულში ჩვენც პირველობაზე ვოცნებობთ, კარგი გუნდი გვყავს და თუ წარმატებას მივაღწიეთ, ალბათ, დიდად არავის გაუკვირდება, მაგრამ წარსულის გამოცდილება გვასწავლის, რომ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გსურს. საკუთარის დამკვიდრებას ვეცდებით, თუმცა არც დანარჩენი 31 მონაწილე გვავიწყდება, ყველას პატივი უნდა ვცეთ" — ამბობს ოლივეირა.

მისი ხელმძღვანელობით პორტუგალიამ ერთი დიდი ტურნირი უკვე ითამაშა, ევრო 96-ზე ფიგუმ, რუი კოშტამ და მათმა მეგობრებმა პირველად მოხიბლეს მაყურებელი, ხორვატიასა და თურქეთს მოუგეს, ჩემპიონ დანიასთან ფრედ ითამაშეს და მეოთხედფინალში რიხით გავიდნენ, მაგრამ იქ ჩეხი კარელ პობორსკის ფანტასტიკურმა გოლმა ყველაფერი წყალში ჩაუყარათ. მერე კი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე სულაც ვერ მოხვდნენ.

როცა წარსულის გამოცდილებაზე ლაპარაკობს, ოლივეირა ალბათ 80-იან წლებსაც გულისხმობს. ევრო 84-ზე მათ დიდებული ნაკრები ჰყავდათ, პაშეკუ, შალანა, ჟორდაო და ფერნანდო გომეში ნამდვილი ვარსკვლავები იყვნენ, იმ ტურნირზე ნახევარფინალს უწიეს და დამატებით დროში ფრანგებთან დამარცხდნენ. ორი წლის მერე, მექსიკის მსოფლიოს თასზე მათგან ისევ ბევრს ელოდნენ, მაგრამ ხეირიანი არაფერი გამოუვიდათ.

ახლა ისტორია თითქოს მეორდება, შარშან ევრო 2000-ზე ფიგუმ და კომპანიამ გაიბრწყინეს, მაგრამ დრამატული ნახევარფინალის დამატებით დროში კვლავ ფრანგებთან წააგეს... ვითომ კორეა-იაპონიაშიც მექსიკური ამბავი დაემართებათ? ცხადია, ეს შედარება პირობითია, თუმცა ოლივეირას ყველაფერი კარგად ახსოვს. უმთავრესი კი ის არის, რომ პორტუგალიაში ღრმად სწამთ, ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი ნაკრებში არასოდეს გვყოლიაო. უკვე დიდი ხანია, მათ „ოქროს თაობად" მოიხსენიებენ და რომელიმე დიდი შეჯიბრების მოგებასაც სთხოვენ.

„ჩემპიონატამდე ექვსი თვით ადრე კონკრეტულ მიზნებზე საუბარი ნაადრევია — აგრძელებს ოლივეირა — პირველი ამოცანა ჯგუფიდან გასვლაა, დანარჩენი კი მერე გამოჩნდება. თანაბარ ჯგუფში მოვხვდით (აშშ, პოლონეთი, კორეა). განსაკუთრებით კორეას გამოვარჩევ, გუნდი ხომ გუნდად უვარგათ და ტურნირის თანამასპინძლებიც არიან, რაც მათ უპირატესობას ერთიორად ზრდის".

წლევანდელი შესარჩევი ციკლი პორტუგალიელებმა ისე ჩაამთავრეს, თამაში არ წაუგიათ: „ცხადია, იმედი გვქონდა, რომ საკვალიფიკაციო ეტაპს წარმატებით დავძლევდით, მაგრამ წაუგებელ სერიაზე თავიდან არ გვიფიქრია — დასძენს ოლივეირა — სასიამოვნოა, რომ ამით პორტუგალიურ ფეხბურთში პრეცენდენტი შევქმენით. ეს მთლიანად გუნდის დამსახურებაა. ჩვენი მოთამაშეები ნაღდი პროფესიონალები არიან, მებრძოლი სულით გამოირჩევიან და ერთმანეთთან მეგობრობენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია".

ფიგუ, რუი კოშტა, ნუნუ გომეში და ჟოაო პინტუ ნაკრების ლიდერები არიან, ისინი განსაზღვრავენ თამაშის სტილს. თუმცა ოლივეირას ახლებისთვისაც დაუდგამს თვალი და სჯერა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის მერე მათზეც ყველა ალაპარაკდება. მწვრთნელს განსაკუთრებით ბოავიშტელები, მეკარე რიკარდუ, მცველი ნუნუ ფრეშაუ და შუახაზელი პეტი მოსწონს.

ლუიშ ფიგუზე კი განსაკუთრებული მოწიწებით საუბრობს: „ის პორტუგალიისთვის იგივეა, რაც პელე ბრაზილიისთვის. დიდებული შემსრულებელია და მეგონა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად ჯერ კიდევ შარშან დაასახელებდნენ. თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, წლეულს ხომ დააფასეს. ეს არა მარტო მისი, არამედ მთელი პორტუგალიური ფეხბურთის დიდი გამარჯვებაა. ბედნიერები ვართ, რომ ასეთი მოთამაშე გვყავს".

აი, ასეთია ოლივეირას განწყობა. კაცისა, ვინც თავის ქვეყანაში ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად ითვლება...

**სოლომონ გულისაშვილი**



სიმაო, ჟორჟე კოშტა და ლუიშ ფიგუ ხარობენ: პორტუგალია მსოფლიოზე გავიდა



პელემ ბურთი თავში წაიშინა

# ეს რა თქვა, კაცო!

## პელემ არგენტინელობა გაამხილა

**ბრაზილიის** ეროვნულმა გუნდმა ტორსიდა გვარიანად ანერვიულა და მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპიდან გაჭირვებით გაძვრა. ამ გზის გავლას სამი მწვრთნელის და ორმოცდაათამდე ფეხბურთელის შეცვლა დასჭირდა, რომლებმაც შესარჩევის თამაშების გარდა კოპა ამერიკაზე და კონფედერაციათა თასზეც მოასწრეს თავლაფის დასხმა. მაგრამ, ახლა, ეს წარსულია და ბრაზილიელ ქომაგებს იმედის თვალი აზიის აღმოსავლეთისკენ მიუპყრიათ. იქაური ფეხბურთის მამები კი ჩაფიქრებულან და ხსნის გზებს ეძებენ. თავს არ შეგაწყენთ და უბრალოდ შეგახსენებთ, რომ ბრაზილიური ფეხბურთი ვერაგ დაავადებას — ღრმად ფესვგადგმულ კორუფციას და მწვრთნელთა არაპროფესიონალიზმს ებრძვის.

ფეხბურთის მეფემ კი, ჯიგარი და სიყვარულიო — ამ სიტყვებით იწყებს ბრაზილიურ ფეხბურთზე ლაპარაკს. პელე ძალლის თავს სწორედ ამ ორი თვისების უკმარისობაში ხედავს. კაცს, რომელსაც სათაყვანებელ „სანტოსში" თხუთმეტი წელი უბურთავია, ვერაფერი გაუგია დღევანდელი ფეხბურთელისა: „უყურებ, კაცს გოლი გააქვს და გადარეულია სიხარულით, ხან საკუთარი მაყურებლისკენ გარბის, ხანაც მოწინააღმდეგისას ათასგვარი ჟესტებით უხეთქავს გულს, შემდეგ კი მაისურაზე გამოსახულ გუნდის ემბლემას კოცნის. გგონია, რომ ფეხბურთელი უზომოდაა შეყვარებული თავის კლუბზე და მას თაყვანს სცემს. თუმცა გადის რამდენიმე თვე და სხვა გუნდში გადაბარგებული იგივე ჯეელი იგივეს აკეთებს, ისევ მაისურას კოცნის, მაგრამ უკვე სხვა კლუბისას. დამეთანხმებით, ამას ფეხბურთის სიყვარული არ ჰქვია. ეს მხოლოდ ფულის სიყვარულია".

პელეს ფეხბურთელთა ხშირი მიდიმოდით გაწამებული ქომაგებისაც ესმის. გულშემატკივრებმა ადრე იცოდნენ, ვინ იყო მათი კერპი — იყო „კორინთიანსი" და იყო რიველინო, იყო ტოსტაო და „კრუზეირო", იყო „ბოტაფაგო" გარინჩასთან და ჟაირზინიოსთან ერთად, ბოლო-ბოლო, პელე და „სანტოსიო".

ახლა სულ სხვაა. გზააბნეულმა ქომაგმა აღარ იცის, ვისი პლაკატი გადმოკიდოს ტრიბუნაზე, ვისი ნომრიანი მაისურა შეიძინოს, ანაც ვისი სახელი დაარქვას ახალშობილ ვაჟს. დამეთანხმებით, პელეს წუწუნს აქვს საფუძველი, თუნდაც იმიტომ, რომ წარსულის რომანტიკულ საფეხბურთო ცხოვრებას გვახსენებს. დღეს მართლაც ყველაფერი სხვაგვარადაა, საფეხბურთო ცხოვრებაც თითქოს უფრო გამკაცრდა.

და ისევ პელე: „საკვირველი კიდევ ბევრი რამაა. მაგრამ კვლავ გოლის გატანისადმი მიძღვნილ წარმოდგენას მივუბრუნდეთ. ფეხბურთელი მეტოქის კარის დალაშქვრის შემდეგ მოწინააღმდეგეთა გულშემატკივრებით დახუნძლული ტრიბუნისკენ გარბის და ისედაც გულდათუთქულებს მთლად აცოფებს. ჩვენ დროს უფრო მეტი გოლი გადიოდა, მაგრამ ასეთი რამ თავში არავის მოსვლია. ეს, რა თქმა უნდა, აგრესიას იწვევს, რაც ხშირად აყალმაყალითა და მატჩების ჩაშლით მთავრდება".

„ფილადელფიასგან“ განსხვავებით ძველ დამაქცევარს სამაგიერო გადაუხადა „ნიუ იორკმა“. „ნიქსი“ პლეი ოფის პირველი წრიდან გამომგდებ „ტორონტოს“ მასპინძლობდა და ეს გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა, რადგან მანამდე ზედიზედ ხუთჯერ წაეგო. შურისძიება შედგა. მასპინძელმა ალან ჰიუსტონმა სეზონში უმეტესი ქულები მიითვალა, ხოლო მისმა მარჯვენა ხელმა (თუ პირიქით) ლატრელ სპრიუელმა 21 ქულას დაცვაში ყოჩაღობაც მოაყოლა და სტუმართა მფრინავი ვინს კარტერი 15 ქულას დააჯერა.

**ივანე ძოწიაშვილი**

# არ ჩააფურთხო ჭაში!

## ნუ ეტყვი ხალხს იმას, რასაც მასზე ფიქრობ

თუ სპორტი პროფესიაა, აწყობილ ქვეყნებში ამ სფეროში დასაქმებულთათვის გულშემატკივარ-მაყურებელი არსობის პურია. ქომაგთ პატივი უნდა ვცეთ, რამეთუ ეს საზოგადოების ის ფენაა, რომელიც სპორტში შექმნილ ყოველგვარ ნაწარმს მოიხმარს — ყიდულობს მატჩზე დასასწრებ ბილეთებს, ათასი რეკლამით გაძეძგილ სპორტულ არხებს, საყვარელი გუნდის სიმბოლიკით დამშვენებულ ნივთებს, ასაღებს საყვარელი სპორტსმენისგან რეკლამირებულ ნებისმიერი სახის საქონელს... გულშემატკივართა ჯიბეებიდან მოწანწკარე ათეულობით, ვთქვათ, დოლარის რუები ათასების და მილიონების მდინარეებად იქცევა და კლუბთა სალაროში ჩაედინება, საიდანაც ნაწილდება და სპორტსმენთა საბანკო ანგარიშებზე აკუმულირდება, შემდეგ კი იხარჯება მერსედესებზე, ვილებზე, იახტებზე და კბილის ჯაგრისებზე...



ენაგრძელი და ჭკუამოკლე ბონზი ველსი

იმისთვის, რომ მერსედესის ფული იშოვოს, სპორტსმენმა უნდა შეასრულოს პირდაპირი მოვალეობა, გაიტანოს გოლი, ჩააგდოს ბურთი კალათში ან სხვას არ ჩააგდებინოს და ასე შემდეგ. არსებობს არაპირდაპირი მოვალეობებიც, მაგალითად, ღიმილიანი სახით ავტოგრაფების დარიგება, გამარჯვების შემდეგ ტრიბუნებისთვის ხელის აწევა და მადლობის თქმა. თუ ეს ირიბი მოვალეობები დაივიწყა, სპორტსმენი იმ ტოტს მოჭრის, რომელზეც ზის.

„პორტლენდ თრეილ ბლეიზერსის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბონზი ველსმა მასსა და გულშემატკივრებს შორის არსებული ხიდი ჩატეხა. რამდენიმე დღის წინ მან ინტერვიუ მისცა პოპულარულ სპორტულ გამოცემა „სპორტს ილუსტრეიტიდს“, სადაც აუგად იხსენებს „პორტლენდის“, ანუ საკუთარ გულშემატკივრებს. სხვათა შორის, მან თავს უფლება მისცა, მთელი გუნდის სახელით ელაპარაკა. აი, ნაწყვეტი მისი საუბრიდან — „ჩვენ ნაღდად არ ვაპირებთ ვიდარდოთ, რა ჯანდაბას იფიქრებენ ფანები ჩვენზე... ისინი ჩვენთვის არაფერს ნიშნავენ. მათ შეუძლიათ მთელი თამაშის განმავლობაში გვისტვინონ, შემდეგ კი ავტოგრაფები გვთხოვონ, როდესაც ქუჩაში შეგვხვდებიან. აი, რატომ არიან ისინი გულშემატკივრები, ჩვენ კი ნბა-ს მოთამაშეები“.

ჟურნალის გამოსვლის შემდეგ „პორტლენდი“ პირველ შინაურ თამაშს 21 დეკემბერს „დეტროიტთან“ ატარებდა. გადაჭედილმა „როუზ გარდენმა“ გუნდს „გულთბილი“ დახვედრა მოუწყო. ველსი მოედანზე არ გამოჩენილა, მთელი თამაში სათადარიგოთა სკამზე გაატარა მუხლის მცირე ტრავმის გამო. ისე, ვინ იცის, ტრავმა ეგებ მიზეზია. მისი უთამაშებლობის მიუხედავად, „როუზ გარდენი“ მთელი საღამო უკმაყოფილებით გაჟღენთილი ჰაერით დამძიმებულიყო. ველსმა, რაკი მოედანზე არ გავიდა, თითქოს არც მისცა ქომაგებს უკმაყოფილების გამომჟღავნების საშუალება, მაგრამ ხალხში დაგროვილმა ბოღმამ მაინც ამოხეთქა, როდესაც დარბაზის დიდ ეკრანზე გამოჩნდა სარეკლამო რგოლი, რომლის ერთ ეპიზოდში ჩანდა ველსი. იგი ხალხს საჩუქრებს ურიგებდა. მის დანახვაზე 18 ათასზე მეტმა კაცმა სტვენა-ღრიანცელი ატეხა. ხმაური არ შეწყვეტილა სარეკლამო რგოლის დამთავრებამდე.

არადა, ამ თამაშამდე ველსმა სახალხო ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ გვიან იყო. არაგულწრფელმა ბოდიშმა სულაც არ დაამშვიდა პორტლენდის უბრალო მოკვდავნი, პირიქით, უფრო დაამძიმა სიტუაცია.

„პორტლენდის“ მწვრთნელი მორის ჩიკსი მთელი საღამო ემალებოდა ჟურნალისტებს, მაგრამ ბოლოს გასახდელთან კუთხეში მომწყვდეულს მოუხდა კომენტარის გაკეთება. „რა გინდათ, რომ ვთქვა? მან ხომ ბოდიში მოიხადა. ბონზი სულაც არაა ურიგო ბიჭი“ — თქვა ჩიკსმა.

„პორტლენდის“ ცენტრმა დეილ დევისმა სცადა, თანაგუნდელს გამოჰქომაგებოდა: „ჩვენ გადატვირთული გრაფიკი გვაქვს. ზოგჯერ ოთხ დღეში სამჯერ თამაში და ნახევარი ქვეყნის შემოფრენა გვიწევს. ეს ყველაფერი ძალიან გვღლის და ბევრი რამ გვაღიზიანებს. ასეთ დროს შეიძლება დაკარგო კონტროლი და ბევრი ისეთმ რამ თქვა, რაც ენაზე მოგადგება“.

ჟურნალისტებმა „პორტლენდის“ პრეზიდენტსა და გენერალურ მენეჯერ ბობ ვისტიტსაც სთხოვეს კომენტარი. აი, მისი სიტყვები: „სულაც არ ვფიქრობ, რომ რაც მოხდა, დანაშაულია. ყველაფერ ამას არ ვაქცევ განსაკუთრებულ ყურადღებას. მეორე მხრივ, ვფიქრობ, რომ ველსის ნათქვამმა ნორმალური რეაქცია გამოიწვია“. შესაძლოა ამ კაცს ავიწყდება, რომ ხალხი იმ პროდუქციის მომხმარებელია, რომელსაც ის ბონზი ვილსებთან, დეილ დევისებთან და სხვებთან ერთად ქმნის.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ევროკალათა



ნევენ სპაჰიამ „ციბონადან“ „ზადარს“ მიაშურა

ხორვატიული „ზადარისა“ და სლოვენიური „კრკას“ მთავარი მწვრთნელები თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. ამ ორ სიახლეს ერთდროულად იმიტომ გამცნობთ, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ორ ფრონტზე ეომებიან და პირველის მწვრთნელის დათხოვნაში მეორის ხელიც ურევია.

ევროლიგასა და ადრიატიკის ლიგებში მოქიშპე „ზადარი“ და „კრკა“ ბოლო 10 დღეში ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ. ორჯერვე სლოვენიურმა კლუბმა იმარჯვა. მეორე მატჩში ხორვატები განსაკუთრებით შერცხვნენ, რის შემდეგაც მათ მესაჭე პეტარ პოპოვიჩს კარისკენ მიუთითეს, მის დროებით შემცვლელად კი მისივე თანაშემწე ვოიე ვლაშიჩი დაინიშნა. დიდი შანსია, კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან გრძელვადიანი კონტრაქტი გააფორმოს. „ჩვენ აქამდე უნდა გაგვეკეთებინა ეს — აცხადებს „ზადარის“ პრეზიდენტი ბოზიდარ კალამეტა — შესაძლოა, ჩვენი კალათბურთელები საუკეთესოები არ იყვნენ, მაგრამ ისინი ამდენ წარუმატებლობას არ იმსახურებენ. გვჯერა, რომ სიტუაცია მალე გამოსწორდება. თუ ასე მოხდა, ვლაშიჩს პოსტზე დავტოვებთ“.

„კრკას“ ხელმძღვანელობა კი მეტად მომთხოვნი აღმოჩნდა, ადრიატიკის ლიგაში გუნდის წარმატებულმა თამაშმა არ დააკმაყოფილა და ევროლიგის ჯგუფიდან გასვლა მოინდომა. როცა შინ „რეალთან“ მარცხის შემდეგ ამის შანსი თითქმის გადაიწურა, მთავარი მწვრთნელი ალეშ პიპანი უმუშევარი დარჩა. მისი ადგილი ნევენ სპაჰიამ დაიკავა, რომელმაც ერთი თვის წინ ბელგრადის „ციბონა“ დატოვა.

* * *

მადრიდის „რეალს“ ტრადიცია აქვს, ყოველი წლის ბოლოს საშობაო ტურნირს მართავს. წლეულს ეს მოვლენა „რეალის“ 100 წლისთავს დაემთხვა, რამაც ორმაგი ხიბლი შემატა. თუმც, მათდა სამწუხაროდ, ესპანელებს გახსნით მატჩში რუსეთის ჩემპიონმა პერმის „ურალ-გრეიტმა“ 80:69 მოუგო, რაშიც ბელარუსმა ვალერი დაინეკომ ლომის წილი დაიდო. მან მადრიდელებს 28 ქულა ჩაუგდო და მატჩის საუკეთესოდაც ღირსეულად დასახელდა.



ვალერი დაინეკო

1965 წლიდან, რაც ამ ტურნირს სათავე დაედო, ასეთი რამ 12-ჯერ მომხდარა. „რეალის“ გულშემატკივრებმა კი თავი იმითღა ინუგეშეს, რომ ტურნირის მეორე მატჩში ვეტერანებმა „ზადარს“ 109:96 სძლიეს.

* * *

ათენის აეკი დატოვა ხორვატმა გამთამაშებელმა არიან კომაზეცმა, რომლის შემცვლელად ბერძნებმა გუნდში ამერიკელი კრის კარი მიიყვანეს. ეს კანდიდატურა ელინთა მწვრთნელ დრაგან საკოტას ნბა-ში მოთამაშე ევროპის ჩემპიონტის საუკეთესო კალათბურთელმა პრედრაგ სტოიაკოვიმა ურჩია. კარმა ილინოისის უნივერსიტეტი 1995 წელს დაამთავრა, რის შემდეგაც „ფინიქს სანზმა“ იგი დრაფტის მეორე რაუნდში აიყვანა. მას მერე კრის კარმა ნბა-ს ხუთი გუნდი გამოიცვალა, რომლებიდანაც „მინესოტას“, „ჩიკაგოსა“ და „ბოსტონ სელტიკსს“ გამოვარჩევთ.

* * *

უკრაინელი ცენტრი ალექსანდრ ოკუნსკი, მას შემდეგ, რაც ბელგრადის „ციბონამ“ დაითხოვა, შორს არ წასულა და ჩერნიგორიულ „ბუდუჩნოსტთან“ გააფორმა კონტრაქტი. კარგა ხანია, ბელგრადში უკრაინელის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ და როცა „ციბონამ“ ევროლიგის უკანასკნელ ტურში იტალიურ „სკავოლინთან“ წააგო, გუნდმა იგი მისით დაინტერესებულ „ბუდუჩნოსტში“ უმალ გაუშვა.

* * *

ვროცლავის „შლიონსკმა“ ერთბაშად ორი წინახაზელი დაითხოვა. ერთი მათგანი პოლონეთის ყველაზე მაღალანაზღაურებადი კალათბურთელი, ლატვიელი გინტარას ეინიკისია, მეორე კი რუსი ანდრეი ფეტისოვი. ორივემ პოლონურ კლუბთან კონტრაქტი სეზონის წინ გააფორმა. თუმცა ევროლიგაში მათი გარჯა კლუბის ხელმძღვანელობამ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და მოსკოვის ცსკა-დან გადმოყვანილ კალათბურთელებთან კონტრაქტი გაწყვიტა.





ანდრეი ფეტისოვი და გინტარას ეინიკისი პოლონეთიდან გამოისტუმრეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელჩაქნეული ხელბურთელები ფეხბურთს თამაშობენ



***საქართველოს ვაჟ ხელბურთელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაზა დოლიძეს დანა პირს არ უხსნის. ან როგორ იქნება ხასიათზე, როცა გუნდს ორ კვირაში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველი მატჩი ელის, მან კი ჯერაც არ იცის, შეძლებს თუ არა ბიჭების ფინეთში წაყვანას.***

ცხადია, მიზეზი უფულობაა. სამ ქვეყანაში (ფინეთი, ჰოლანდია, ავსტრია) წასვლა-წამოსვლის, აგრეთვე ამ გუნდებისა და მსაჯ-კომისართა თბილისში სამასპინძლოდ 160-170 ათასი ლარია საჭირო. სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა 2002 წლის თავისი, უკაცრავად და, მათხოვრული ბიუჯეტიდან ხელბურთელებისთვის მხოლოდ ასი ათასის „გაღადება“ შეძლო. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს თანხა დღემდეც ოდენ დანაპირებია, ანუ რეალურად არ არსებობს. ჩვენი მთავარი ფინანსისტი ზურაბ ნოღაიდელი, რაკი წლის ბოლოა, საგაისო ბიუჯეტიდან ერთი თეთრის გამოყოფასაც ვერ ახერხებს. მართალია, ნაკრების ხელმძღვანელობას სადღეისოდ შეჰპირდა პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ვეჭვობთ, დროულად მოესწროს ხაზინიდან ფულის მიღება.

გუნდისთვის დღემდე არ არის შეძენილი სათამაშო ფორმის ერთი კომპლექტიც კი, რაც სულაც არაა დაკავშირებული უზარმაზარ ხარჯებთან. ჩვენი ევროპელი ლეგიონერების ჩამოყვანის საკითხიც მხოლოდ გუშინწინ გადაწყდა. ხოლო ასეთი დონის ტურნირისთვის სათანადო მზადებაზე ლაპარაკი უადგილოც კია. ერთი ათდღიანი შეკრების მოწყობაც ვერ მოხერხდა, თუნდაც საქართველოს ფარგლებში, სადმე ზღვიან-მთიან რეგიონში. აღარაფერს ვამბობთ ფინეთის წინ საბერძნეთში ჩასვლაზე. ჩვენი სახელოვანი ხელბურთელი ალექსანდრე ანპილოგოვი ამ ქვეყნის ქალთა გუნდის მთავარი მწვრთნელია და სწორედ მისი მცდელობით დაიგეგმა იქ ერთკვირიანი შეკრება და წამყვან კლუბებთან სამი ამხანაგური თამაში. უკეთესი ვარიანტი ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ რად გინდა, ნორმალურ პირობებში მზადებაგავარჯიშების ეს მშვენიერი შანსიც ულარობას გავატანეთ.

რაც შეეხება თბილისის სპორტის სასახლის გათბობის ყბადაღებულ პრობლემას, ამბობენ, რამდენიმე დღეში თურქეთიდან ოთხ გამათბობელ აგრეგატს ჩამოიტანენო. თუმცა ესეც სათუო გვგონია. არადა, ამ ვეებერთელა ნაგებობაში მატჩის წინ ჰაერის ტემპერატურა დასაშვებზე ორი-სამი გრადუსით ნაკლები რომ იყოს, სტუმრებს უფლება აქვთ, სათამაშოდ არ გამოვიდნენ. ალბათ, ასეც იზამენ. ადვილი წარმოსადგენია, ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის მხრიდან ამას რა უმკაცრესი სანქცია მოჰყვება.

დებულებით, მასპინძლებმა უნდა დაფარონ მეტოქეთა ოცკაციანი დელეგაციისა და სამი მსაჯის სასტუმროს და კვების დანახარჯი. ასე რომ, იმ თურქულმა „ჯამბოებმა“ რომც გვიშველოს, ფული თუ ვერ გამოინახა, საერთაშორისო სარბიელიდან სამწლიანი მოკვეთა და ფინანსური სასჯელიც გარანტირებული გვაქვს. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ სამივე გუნდს თბილისში გამოსამგზავრებელი ავიაბილეთები უკვე ხელზე აქვს.

ისე, მოწინააღმდეგეები დაუძლეველნი სულაც არ არიან. აკი ჯგუფში ჩვენი ნაკრების გამარჯვების შანსი საქართველოს ხელბურთის ასოციაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯემალ ცერცვაძემ 80 პროცენტით შეაფასა. მაგრამ „მტრები“ უკვე რამდენიმე თვეა, ჩვენთან საბრძოლველად ემზადებიან, არც შეკრებები მოჰკლებიათ და არც ძლიერი სპარინგ-პარტნიორები.

სპორტის ორმოცამდე ოლიმპიური სახეობის მაღალ დონეზე განვითარებას ჩვენ კი არა, ამერიკა და რუსეთი ვერ აბამს თავს. არაერთხელ თქმულა, ჯობს საქართველოში ათიოდეთი შემოვიფარგლოთ და მათი წინსვლისთვის ვიმოქმედოთო. ბოლო დროს ის ათიც ბევრი გვგონია. დავიტოვოთ, ბატონო, მხოლოდ რაგბი, ფეხბურთი, ჭიდაობა, ძალოსნობა. სპორტის დეპარტამენტიც გავაუქმოთ, რადგან ოთხი-ხუთი სახეობის მისახედად ამხელა უწყება სულაც არაა საჭირო. სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ჩვენში ერთ დროს პოპულარობითაც და შედეგებითაც საამაყო ხელბურთი დღეს აღარავის უნდა, თავად მწვრთნელ-მოთამაშეთა გარდა...

კატასტროფული ვითარების მიუხედავად, ნაკრების კანდიდატები საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მაინც ემზადებიან და ვარჯიშამდე მინი-ფეხბურთით ხურდებიან.

**გია ახალაძე**



ქართველი ხელბურთელების საქმე ბურთივით ჰაერშია


# რესტორანი მზიანი ღამე






**განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით**

**დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე**

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

**კუტუზოვის ქუჩა №3**

**(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)**

**ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74**

**მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით**

# ხან-თენგრი

**საბჭოთა კავშირში** მთამსვლელთათვის არსებობდა ერთი საპატიო წოდება — „თოვლის ჯიქი“. იგი ენიჭებოდა მას, ვინც საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ ოთხივე შვიდიათასიან მწვერვალზე: კომუნიზმის პიკზე, ლენინის პიკზე, კორჟენევსკაიაზე და პობედაზე ავიდოდა. მერე, როცა პობედაზე ასვლები აკრძალეს, მისი ადგილი დაიკავა ხან-თენგრიმ, რომელსაც შვიდიათასიანთა რიგში ჩადგომას, როგორც მაშინ ფიქრობდნენ, სულ რალაც ხუთიოდე მეტრი აშორებდა, თუმცა, ურთულესი მარშრუტებით თავისზე მაღალ მწვერვალებზე ზემოთ იდგა. ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში, სასიმაღლო თუ ტრავერსების კლასში, ხან-თენგრიზე ასვლა თითქმის მუდამ მედლების მოპოვების გარანტიას იძლეოდა. მის დამლაშქრავს აძლევდნენ საგანგებო ჟეტონსაც, რომელზეც ხან-თენგრი იყო გამოსახული. მასზე მთამსვლელებმა არაერთი უმაღლესი სირთულის მარშრუტი გაკვალეს. არადა, დრო იყო, ხან-თენგრი შიშის ზარს სცემდა მთამსვლელებს და იგი აულებელ ბასტიონად მიაჩნდათ, მაგრამ ის, რაც ერთ დროს მიუღწეველი ჩანს, ბოლოსდაბოლოს შესაძლებელი ხდება. და მაინც, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ თანამედროვე ტექნიკის პირობებში ხან-თენგრი ხელწამოსაკრავი გახდა. იგი დღესაც მთამსვლელთა ერთ-ერთ დიდ საჯილდაო ქვად ითვლება. ამიტომაც ხან-თენგრიზე პირველი ასვლა სპორტული გმირობის მაგალითია. იმ დღიდან 70 წელიწადი გასულა და რაკი ხან-თენგრისთვის ასეთი საიუბილეო თარილი დამდგარა, უპრიანი იქნება მისი ბიოგრაფიის გახსენებაც.

ცენტრალურ ტიან-შანზე აღმართული ამ პიკის მონღოლური სახელწოდება ხან-თენგრი, დედამიწის უმაღლესი მწვერვალისა არ იყოს, ქართულად ითარგმნება როგორც „ცის მბრძანებელი“. ყაზახები და ყირგიზები, რომელთა ქვეყნების საზღვარზეც ეს მწვერვალია წამომართული, ხან-თენგრის უხსოვარი დროიდან კან-ტოოს უწოდებენ, რაც სისხლიან მთას („კან“ — სისხლი, „ტოო“ — მთა) ნიშნავს. თუმცა, ეს თურქულენოვანი სახელწოდება ამ მწვერვალის მრისხანებასთან ან სხვა რამ უბედურებასთან დაკავშირებული სულაც არ არის. ყირგიზები და ყაზახები ამ სახელწოდებას იმით ხსნიან, რომ მზის ჩასვლისას მისი სხივები მწვერვალის ზედა ნაწილს წითლად ანათებენ. ამასთან, მწვერვალის თავზე გაწოლილი ღრუბლებიდანაც წითლად იღვრება ჩამოწოლილი ჩრდილები.

ამ ბუმბერაზ მწვერვალს დიდი ხანია იცნობენ, მაგრამ მკვლევარებმა მზერა მას მხოლოდ XIX საუკუნის შუა წლებში მიაპყრეს. მათგან ხან-თენგრი პირველმა ნახა და აღწერა ტიან-შანის ცნობილმა რუსმა მკვლევარმა და გეოგრაფმა სემიონოვ-ტიან-შანსკიმ, როცა ცენტრალური აზიის იმ მიუვალ მთებში თავისი განთქმული მოგზაურობა განახორციელა (1856-1857 წლები). მაშინ მას თავის დღიურში ჩაუწერია: „მოულოდნელმა სანახაობამ თვალი მოგვჭრა. ჩვენგან პირდაპირ, სამხრეთით აღმართულიყო ყველაზე დიადი მთის ქედი, რომელიც ოდესმე მინახავს. მასზე თავიდან ბოლომდე ჩარიგებულიყო თოვლიანი ბუმბერაზები, რომლებიც მარცხნივაც და მარჯვნივაც ოცდაათამდე დავითვალე. მთელი ეს ქედი თეთრად ელვარებდა და უთოვლო ადგილი არსად ჩანდა. იმ გოლიათთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი პირამიდასავით მწვერვალი, რომელიც ულელტეხილიდან ყველა დანარჩენზე ორჯერ მაღალი ჩანდა“... სწორედ ეს მწვერვალი იყო ხან-თენგრი.

სემიონოვ-ტიან-შანსკის ამ აღწერილობამ ბევრი მისი თანამემამულე და უცხოელი მკვლევარი თუ მთამსვლელი ააფორიაქა და გზას გაუყენა. ყველა მათგანმა მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანა ცენტრალური ტიან-შანის შესწავლა-გამოკვლევის საქმეში. მათ დაადგინეს ხან-თენგრის ზუსტი მდებარეობა და სიმაღლე. თუმცა, თავდაპირველად მის სიმაღლეზე სხვადასხვა მონაცემები იყო. სამთო ინჟინერ იგნატიევის 1888 წლის გაზომვით ხან-თენგრი 7320 მეტრი სიმაღლისა იყო. გერმანელმა მთამსვლელმა და გეოგრაფმა მერცბახერმა (რომელსაც კავკასიონზე არაერთი პირველასვლა განუხორციელებია) 1902 წელს „ცის მბრძანებლის“ სიმაღლე შეამცირა, 7200 მეტრამდე ჩამოიყვანა, ბოლოს კი გაირკვა, რომ იგი 7000-იანიც არ ყოფილა და იქამდე ხუთი მეტრი აშორებდა. თუმცა, ეს მონაცემიც მცდარი აღმოჩნდა და რამდენიმე წლის წინათ დადგინდა, რომ ხან-თენგრი შვიდიათასიანი (7 010მ.) ყოფილა.

ასე იყო თუ ისე, ხან-თენგრი მნახველს აღაფრთოვანებდა, მთამსვლელებს თავისკენ იზიდავდა და უკან გაწბილებულებსა და დათრგუნულთ აბრუნებდა. პირველი ექსპედიცია, რომელმაც ხან-თენგრის დალაშქვრა განიზრახა, იტალიელმა გეოგრაფმა და ალპინისტმა ბორგეზემ და პროფესორმა, ასევე მთამსვლელმა ბროხელერმა მოაწყვეს. მათ თან ახლდათ სახელგანთქმული ალპიური მეგზური მატიას ცურბრიგენი, რომელსაც 1896 წელს კორდილიერებზე სამხრეთ ამერიკის უმაღლესი პიკი, თითქმის 7000-იანი აკონკაგუა დაელაშქრა და ამ საქმეში პირველობაც მოეპოვებინა. ამ ექსპედიციის წევრებმა ხან-თენგრი აიომონაკის ულელტეხილიდან (4560 მეტრი) დაინახეს და დარწმუნდნენ, რომ მისკენ მიმავალი გზა ინილჩიკის ყინვარზე გადის, მაგრამ იმ ზეკარიდან მათ ლაშქრობის გაგრძელება ველარ შეძლეს.

ხან-თენგრის დასალაშქრად მეტი შეუპოვრობა გამოავლინა მერცბახერმა, ვინც ამ „ცის მბრძანებელზე“ ორჯერ მიიტანა იერიში. 1902 წელს იგი ბაიანკოლის ხეობიდან ცდილობდა ხან-თენგრისთან მისვლას. ხეობის სათავესთან მან გამცილებლებთან ერთად 5500 მეტრამდე სიმაღლის რამდენიმე მწვერვალზე განახორციელა პირველასვლა. იქიდან ხან-თენგრიც დაინახა, მაგრამ მისკენ მიმავალ გზას ვერ მიაგნო და პირი იბრუნა. მომდევნო წელს მიზნისკენ ახლა მდინარე საროკის ხეობიდან წავიდა, გზა მის შენაკად ინილჩიკიდან გააგრძელა, ბოლოს სამხრეთ ინილჩიკის ყინვარს მიადგა. ექსპედიციამ მთელი ყინვარი 18 კილომეტრის სიგრძეზე გაიარა და მწვერვალის ძირშიც მივიდა, საიდანაც მერცბახერმა და მისმა ტიროლელმა გამყოლებმა ადამიანთაგან პირველებმა იხილეს ეგზომ ახლოდან ეს ბუმბერაზი.

მწვერვალმა ისეთი დამთრგუნველი შთაბეჭდილება მოახდინა მერცბახერზე, რომ მასზე ასვლის მცირედი იმედიც გადაეწურა. ეგ კი არა, გაწბილებულს დღიურში ჩაუწერია, ტიან-შანზე ალპინისტური გატაცებებისთვის... ადგილი არ არისო.

მერცბახერის ექსპედიციამ შეადგინა ხან-თენგრის რაიონის სქემა, რაც დიდხანს ცენტრალური ტიან-შანის ერთადერთი კარტოგრაფიული დოკუმენტი იყო.

ამ რაიონის გეგმაზომიერი შესწავლა 1929 წელს დაიწყო კომპლექსური ექსპედიციით, რომლის ინიციატორიც უკრაინელი მოგზაური და მთამსვლელი მიხაილ პოგრებეცკი გახლდათ. სწორედ იმ ექსპედიციისას განუმტკიცდა მას ხან-თენგრის დალაშქვრის სურვილი და მიზნის მისაღწევად 1931 წელს გზასაც გაუდგა.

უკრაინელთა გეგმა უცხოელ მთამსვლელთა შორის უმალ გახმაურდა და მსოფლიოს პრესაში სკეპტიკური პროგნოზებიც გამოჩნდა. მერცბახერის ექსპედიციის ყოფილმა წევრმა, კოსტნერმა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთში უორჭოფოდ განაცხადა: „მე შემიძლია დავამტკიცო, რომ დღეისთვის ხან-თენგრი უძლეველია. რუსთა ექსპედიცია მიზანს ვერ მიაღწევს“.

მიზნის მიღწევა მართლაც უამრავ პრობლემასთან იყო დაკავშირებული. უშუალოდ მწვერვალზე ასვლაზე ნაკლები პრობლემა არ იყო მის ძირამდე მიღწევა. ექსპედიცია მას მერე, რაც უკანასკნელ დასახლებულ პუნქტს გასცდა, მთლიანად მოსწყდა გარე სამყაროს, რადგან იმ დროს მთამსვლელებს არ გააჩნდათ არავითარი კავშირგაბმულობის საშუალება. ამასთან, მათი მრავალკვირიანი და 150 კილომეტრიანი საქარავნო სალაშქრო გზა გადიოდა მთებსა და კლდე-ღრეში, აბობოქრებულ მდინარეებზე, ნაპრალებით დასერილ 50-კილომეტრიან ყინვარზე. ბარგს ეზიდებოდნენ ცხენებით, რომლებიც ხშირად ტვირთიანად ვარდებოდნენ. მთამსვლელთა ისედაც მძიმე ბარგი თოფ-იარაღითაც დაემძიმებინათ, რადგან იმ დროს ჯერ კიდევ ბასმაჩები იყვნენ შემორჩენილნი.

ამასთან, უკრაინელები, ისე როგორც იმ დროის სხვა საბჭოთა მთამსვლელები, სასიმაღლო ასვლებში სრულიად გამოუცდელნი იყვნენ. შედარებით გამოცდილნი იყვნენ მიხაილ პოგრებეცკი და ფრანც ზაუბერერი, რომლებიც ალპინიზმს ალპებიდან იცნობდნენ. პოგრებეცკი ტიან-შანის რამდენიმე მწვერვალზეც ასულა, მაგრამ მათი სიმაღლე ხან-თენგრის მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა. თუმცა ამ გუნდის წევრები ყველაზე უკეთ იცნობდნენ მიზანში ამოღებული პიკის რაიონს, რომელიც 1929 წლის ხანგრძლივი სამეცნიერო ექსპედიციისას შეისწავლეს. ისინი სხვეზე უკეთ იცნობდნენ ხან-თენგრის რაიონის მეტეოკლიმატურ პირობებს და ჰქონდათ იქ ბარგის ქარავნით გადატანის გამოცდილება. ექსპედიცია აღჭურვილი იყო ავსტრიაში დაკვეთილი საიერიშო კოსტიუმებითა და პალოებით, დათბუნული სამთო ფეხსაცმლით, საძილე ტომრებით, თოკებით...

5 სექტემბერს საბაზო ბანაკიდან (4860მ) მწვერვალისკენ დაიძრა ჯგუფი, რომელშიც იყვნენ მთამსვლელებიც, სამეცნიერო გუნდის წევრებიც, მებარგულებიცა და კინოოპერატორიც. მანამდე მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მწვერვალისკენ ნაწილობრივ გზა გაკვალა, 5400 და 6040 მეტრის სიმაღლეზე საშუალედო ბანაკები გამართა და ისინი საჭურველითა და საკვებით მოამარაგა. ლაშქრობის დასაწყისშივე ნათელი გახდა, რომ ასვლა ნავარაუდევზე რთული იქნებოდა. მძიმედ დატვირთულნი ღრმა თოვლში ეფლობოდნენ და დროდადრო ავდარიც აფერხებდა მთამსვლელებს. ამიტომ საბაზოდან 5400 მეტრამდე ასვლას ორი დღე მოუნდნენ, მერე კი უფრო გაჭირდა სიარული. მანამ 6040 მეტრზე მდებარე ბანაკს აალწევდნენ, გადაწყდა, რომ გადამწყვეტ იერიშზე სამნი: პოგრებეცკი, ზაუბერერი და ბორის ტიურინი გადავიდოდნენ. ისინი მძიმედ დატვირთულნი გაჭირვებით მიიწევდნენ ზემოთ. ბინდი რომ ჩამოწვა, ქარიც გაძლიერდა და ყინვამაც მოუჭირა, სუნთქვაც გაძნელდა, იძულებულნი ხდებოდნენ, რამდენიმე ნაბიჯის მერე შეესვენათ. გაყინული ფეხის დასაზელად ბათინკებს იხდიდნენ, მაგრამ მერე მათი ჩაცმა და შეკვრა უჭირდათ, რადგან გაყინული თითები აღარ ემორჩილებოდათ. როგორც იქნა 6040 მეტრამდე აალწიეს, კარავი მოაწესრიგეს, საძილე ტომრებში ჩაიფუთნენ, მაგრამ იმ ღამით იძულებულნი გახდნენ კარავი სხვაგან გადაეტანათ, რადგან მის გვერდით ხან ქვები ცვიოდა, ხან ყინულის ნამსხვრევები.

როცა ინათა, დაინახეს, რომ თოვლიან ღარში, სადაც ისინი აპირებდნენ ასვლას, გამუდმებით ცვიოდა ყინულის ნამსხვრევები. ამიტომ მიმართულება შეიცვალეს და კლდეებს მიადგნენ. კლდეები ციცაბო, დათოვლილი და გაყინული იყო. სავალი იმდენად სახიფათო იყო, რომ მარმარილოს კლდეზე პალოებს ასობდნენ და ზედ თოკგამობმულნი ისვენებდნენ. განსაკუთრებით ციცაბო კლდეებზე უზურგჩანთოდ ადიოდნენ, ბარგს კი მერე თოკით ექაჩებოდნენ. კიდევ რომ შემოაღამადათ, კარვის დადგმა ველარ მოახერხეს. იგი ციცაბო ფერდობზე გაჭირვებით დაიფინეს, ზედ საძილე ტომრები გაშალეს და ის ჯოჯოხეთური ღამე კლდეზე მიბმულებმა გაათენეს, მერე კი კვლავ გზა განაგრძეს.

სალამოხანს მათთვის ლამის ყველაფერი დასრულდა, როცა ზაუბერერს ფეხი დაუცდა, გადავარდა და პოგრებეცკიც თან გადაიყოლა. საბედნიეროდ, ტიურინმა ორივეს ვარდნას გაუძლო და თოკით დაიჭირა. ამ ხიფათის მერე ბინდიც ჩამოწვა.

ამის მერე კიდევ ერთი დღე იარეს და იფორთხიალეს. ზოგჯერ ოთხით მიიწევდნენ ზემოთ და მწვერვალის სიახლოვეს ისევ შემოაღამდათ. ის ღამეც კლდეზე თოკგამობმულებმა გაათიეს.

დილით, გადამწყვეტი იერიშის მეექვსე დღეს ყველაფერი თავიდან დაიწყო... თუმცა, უმჯობესია, მთამსვლელთა დღიურში ჩავიხედოთ: „ერთიორი ნაბიჯი და შესვენება, კიდევ ერთი-ორი ნაბიჯი და ისევ შესვენება. მწვერვალამდე 100 მეტრზე მეტი აღარ გვაშორებს. ჩვენ მის სიახლოვეს ვგრძნობთ, მაგრამ ფეხებს ძლივს მივათრევთ...

„ქარი მწვერვალიდან ახვეტილ თოვლს და ყინულის კრისტალებს სახეში გვაყრის და გვსუსხავს, ჩვენ კი თავდახრილნი და ხელებით მუხლებსდაყრდნობილი ჯიუტად მის შესახვედრად მივლოღავთ. ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით მწვერვალს, ის კი თითქოს გაგვირბის და სულ უფრო გვშორდება. გულს ბაგაბუგი გააქვს და გაგლეჯაზეა. კიდევ ერთი ამოსუნთქვა, კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ქარი ზედ მწვერვალიდან ახვეტილ თოვლს კიდევ ერთხელ გვაყრის სახეზე. მოულოდნელად ვხედავთ, რომ სავალი, რომელზეც ავდიოდით, მრგვალდება, ზემოთ კი ცის მეტი აღარაფერია. ეს მწვერვალია“!

1932 წლის 12 სექტემბერს, 12 საათზე, ასე მიაღწიეს ხან-თენგრის მიხაილ პოგრებეცკიმ, ფრანც ზაუბერერმა და ბორის ტიურინმა.

ხან-თენგრი მეორედ 1936 წელს ზედიზედ ორმა გუნდმა დალაშქრა, მაგრამ მეორე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ჩამოსვლის მერე განგრენით დაიღუპა, ორნი კი მძიმედ დაშავდნენ.

ამის მერე, მთელი 18 წლის განმავლობაში, ხან-თენგრიზე აღარავინ ასულა. ისინი მხოლოდ 1954 წელს გამოჩნდნენ მის ფერდობებზე. მაშინ ყაზახეთის გუნდის წევრები კოლოდინი, სემჩენკო, სიგიტოვი და ჩერეპანოვი შიპოლოვის მეთაურობით საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით პირველნი მიადგნენ მის ფერდობებს. მათ მიზანს მიაღწიეს და ამ წარმატებით მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს საქართველოს ალპური კლუბის წევრებთან: პირიბე გვარლიანთან, გრიგოლ გულბანთან, კირილ კუზმინთან და ატე ნემსიწვერიძესთან ერთად, რომლებმაც პამირზე ენგელსის პიკ სამხრეთ-აღმოსავლეთის კედლის ავლით მიაღწიეს.

ამის მერე საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით ხან-თენგრი სასიმაღლო თუ ტრავერსების კლასში არაერთხელ დალაშქრეს მთამსვლელებმა.

ხან-თენგრის ბიოგრაფიაში განსაკუთრებით საინტერესო იყო 1964 წელი, როცა საკავშირო ჩემპიონატის პროგრამით მასზე ორი ჯგუფი სხვადასხვა უვალი გზით ავიდა და სასიმაღლო კლასში ორივემ ოქროს მედლები დაიმსახურა. ერთმა ჯგუფმა („ბურევესტნიკმა“), რომელსაც კუზმინი მეთაურობდა, ჩრდილოეთის ფერდობიდან მიაღწია მიზანს, მეორე კი („ტრუდი“) რომანოვის ხელმძღვანელობით ეგრეთ წოდებული მარმარილოს ქედით ავიდა მწვერვალზე.

საინტერესოა, რომ იმ წელიწადს ქართველი მთამსვლელები საკავშირო ჩემპიონატის ტექნიკურ კლასში ჩრდილოეთ უშბაზე ასვლისთვის ჩემპიონები გახდნენ. ამ წარმატებას მიაღწიეს ორივე მიხეილ ხერგიანმა და ჯოკია გუგავამ, შალვა მარგიანმა, იოსებ კახიანმა და გივი წერედიანმა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ხან-თენგრის, სადაც 1974 წელს, ისე როგორც 64-ში, ერთბაშად კვლავ ორი გუნდი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი. მაშინ მოსკოველთა და ყაზახეთა გუნდებმა მასზე შესაბამისად მისლოკსკისა და სტუდენინის მეთაურობით ჩრდილოეთიდან, მანამდე უვალი პარალელური გზებით შეუტიეს და მიზანსაც მიაღწიეს.

ხან-თენგრიდან საკავშირო ჩემპიონატების პროგრამით თხუთმეტამდე გუნდმა ჩამოიტანა სხვადასხვა ხარისხის მედლები. ასეთი ჯილდოებით ამაყობს 100-მდე მთამსვლელი. ხან-თენგრზე ასვლით თავს იწონებენ ისინიც, ვინც, მართალია, ხან-თენგრიდან მედლები ვერ ჩამოიტანა, მაგრამ იქიდან „თოვლის ჯიქად“ დაბრუნდა, ან გაიმეორა სხვათა მიღწევა. მათ შორის არიან საქართველოს მთამსვლელები, რომელთაგან გამოირჩევა ბიძინა გუჯაბიძე, რომელიც ხუთჯერ ასულა ხან-თენრგიზე. აქედან ერთხელ ჩქაროსნული განახორციელა, როცა 4300 მ სიმაღლეზე მდებარე საბაზო ბანაკიდან მწვერვალამდე და უკან 15 საათში აირბინ-ჩამოირბინა, რაც მეხუთე შედეგი აღმოჩნდა მსოფლიოში.

**ავთანდილ გურასაშვილი**



ხან-თენგრი



მიხეილ პოგრებეცკი



ხან-თენგრიზე ამსვლელთა ჟეტონი



ბიძინა გუჯაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

მოგეხსენებათ, ამერიკელები პრაქტიკული ხალხია და ცენტის ფასიც კარგად იციან, მაგრამ ცხოვრება მაინც ცხოვრებაა, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ. გამონაკლისი არც ნჰლ-ში მოთამაშეთა კონტრაქტებია. ჰოდა, ხდება ხოლმე თავის დროზე საკმაოდ მაღალ დონეზე მოასპარეზე რომელიმე ჰოკეისტი სახელს გაითქვამს, სოლიდურ და ხანგრძლივ კონტრაქტს გააფორმებს, შემდეგ კი... არხეინად, თავის აუტკივებლად გაატარებს დროს ყინულზე, თან განკუთვნილ ფულსაც ჩაიჯიბავს. ცხადია, საპირისპიროც ხდება.

პოპულარულმა კანადურმა გამოცემამ „ედმონტონ ჟორნალმა" საინტერესო გამოკვლევა ჩაატარა, მუქთამჭამელებიც დაადგინა და ისინიც, რომლებიც არ არიან დაფასებულნი ისე, როგორც იმსახურებენ.

# ესენი მუშაობენ...

*პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი, 750 ათასი)*

უნიკალური მოვლენაა: მოთამაშე, რომელიც შარშან ჩემპიონატის მესამე ბომბარდირი იყო და წლეულსაც ერთადერთია „ეშმაკთაგან", არანაირ საყვედურს რომ არ იმსახურებს, ერთ მილიონსაც არ იღებს. თუმცა ჩეხური ჰოკეის ახალი თაობის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელს წლეულს კონტრაქტი უმთავრდება და ხელმომჭირნე ლუ ლამორელოს, ნიუ ჯერსის გენერალურ მენეჯერს, ჯიბეზე ხელის გაკვრა მოუწევს, რათა ელიაში შეინარჩუნოს. საინტერესოა, რომ ზაფხულში ამგვარ სიტუაციაში იყო ელიაშის პარტნიორი პეტრ სიკორაც, რომელმაც არბიტრაჟს მიმართა და ლამორელო აიძულა, მისი ხელფასი ხუთჯერ — 675 ათასიდან 3,3 მილიონამდე გაეზარდა.

*ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე, 575 ათასი)*

მხოლოდ მეორე სეზონია, ლიგაში თამაშობს, მაგრამ უკვე მოასწრო საკლუბო რეკორდის დამხობა შათაუტებში რაოდენობაში. ამიტომაცაა, ასე რომ ცდილობენ რუსები, ყაზახეთში დაბადებული მეკარე ხელში ჩაიგდონ და ოლიმპიადაზე თავიანთი ნაკრების ღირსების დაცვა ანდონ. ნაბოკოვის დამაჯერებელი თამაში სრულიად აქარწყლებს საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს, თითქოს ლიგაში მეორე სეზონი სადებიუტოზე გაცილებით ძნელია.

*მარტინ სენტ ლუისი (ტამპა, 290 ათასი)*

მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინთან ერთად ტამპას საუკეთესო მოთამაშეა ამ სეზონში. მაგრამ წლეულს იმდენს მიიღებს, რამდენსაც სენტ ლუისი კეიტ ტკაჩუკს 3 მატჩში (!) უხდის.

*ტოდ უაიტი (ოტავა, 350 ათასი)*

„სენატორთა" მეორე სამეულის ცენტრფორვარდს წლეულს იარომირ იაგრზე მეტი გოლი აქვს გატანილი. მან გუნდის კაპიტანი დანიელ ალფრედსონიც აათამაშა.



პატრიკ ელიაში

*კაილ კოლდერი (ჩიკაგო, 575 ათასი)*

პირველ სამეულში ტყუილუბრალოდ არავის აყენებენ. სწორედ კოლდერის თავდაუზოგავი შრომაა იმის მიზეზი, რომ წლეულს ჩიკაგოს ლიდერებს — ალექსეი ჟამნოვს და ტონი ამონტეს დაცვაში სამუშაო მოაკლდათ და შეტევაში ლაღობენ.

# ...ესენი ჭამენ



დმიტრი ხრისტიჩი

*დმიტრი ხრისტიჩი (ვაშინგტონი, 3,2 მილიონი)*

ოდესღაც ვაშინგტონში საკმაოდ კარგად თამაშობდა, ამიტომაც გუნდში მეორედ მისული უკრაინელისგან ბევრს ელოდნენ, მაგრამ... ჯანმრთელი და ლოყებღაჟღაჟა ხრისტიჩი მშვიდად უყურებს პარტნიორების შრომა-წვალებას პრესის ლოჟიდან და ეპიზოდურად თუ ხვდება ძირითადში. თან უცმურიც ყოფილა. სადაც უთამაშია, ყველგან კონფლიქტები ჰქონია.

*სტეფან ფისე (ლოს ანჯელესი, 2,7 მილიონი)*

შარშან გუნდში ფელიქს პოტვინის მისვლის შემდეგ არა მარტო პირველი, მეორე მეკარის პოზიციაც კი დაკარგა და სადღეისოდ „მეფეთა" ფარმკლუბში იმყოფება. იქაც ტრავმა მიიღო და როგორც ბოროტი ენები ამბობენ, შეგნებულად ართულებს სიტუაციას, ყინულზე დაბრუნებას აყოვნებს.

*როდ ბრინდამორი (კაროლინა, 4,25 მილიონი)*

ასეთი ხელფასის მქონე ჰოკეისტები კაროლინასნაირ გუნდებში მინიმუმ პირველ სამეულში უნდა თამაშობდნენ, მაგრამ ბრინდამორი სისტემატურად მეორეშიც ვერ ხვდება, თუმცა ბოლო ხანებში ერთობ გააქტიურდა.

*მარტინ რუჩინსკი (დალასი, 3 მილიონი)*

მონრეალში წამყვან ფორვარდადაც ითვლებოდა, მაგრამ 30 თამაშში მხოლოდ 8 ქულა იკმარა. მიუხედავად ამისა, დალასმა მისი შეძენა მაინც მოისურვა, მაგრამ დღემდე ჩეხისთვის სათანადო პარტნიორები (თუ პირიქით) ვერ გამოიძებნა. სხვათა შორის, იშვიათი შემთხვევაა, რომ ჩეხეთის წარმომადგენელმა თავისი ხელფასი ვერ გამოიმუშაოს.

*რენდი მაკეი (ნიუ ჯერსი, 2,175 მილიონი)*

ოდესღაც პოლიცაელი ბოლო ორ სეზონში მრისხანე ძალისმიერ ფორვარდად იქცა, მაგრამ წლეულს, როცა ნიუ ჯერსის გაუჭირდა, მას გოლების გატანაც დაავიწყდა და ჩხუბიც. ერთი კვირის წინ მაკეის აქტივში მხოლოდ ერთი გოლი იყო.


"მაგთი GSM"
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. "ოპერისა და ბალეტის" სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა დაჯილდოვების ცერემონიას "რაინდები".
ორგანიზატორები:
"საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია",
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, შ.პ.ს. "ვერიტა".
საინფორმაციო მხარდაჭერა:
სარბიელი
გენერალური სპონსორი
მაგთი MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე.

ანკეტა

დამოუკიდებელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
|---|---|
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი:

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
მობ: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com




# მაგდა თოფივით ქალია. ახლოს არავის იკარებს



ვესა ჰიეტალაჰტი

**მაგდალენა ფორსბერგმა** ბიათლონში ქალთა მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი მოიგო — აი, წინადადება, რომელიც ისეთივე ჩვეულებრივი გახდა ბიათლონისთვის, როგორც ჰერმან მაიერის მარადიული პირველობა სამთო თხილამურობის თითქმის ყველა უბანზე. ეს ფორსბერგის ზედიზედ მე-6 გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში და თუ საერთო ჩათვლაში მისი გარღვევა მეტად მცირედ გეჩვენებათ, ეს იმიტომ, რომ ბიათლონში ქულები თხილამურობაზე ძუნწად რიგდება.

ფორსბერგის ბოლო გამარჯვება 12,5-კილომეტრიანი მას სტარტი გახლდათ, რომელზეც მან მხოლოდ ერთი სროლა გააფუჭა. ქებას იმსახურებს გერმანელი უში დისლიც, ცხადია, არა ოთხი ტყვიის აცდენისთვის, არამედ იმიტომ, რომ ამდენი საჯარიმო წრის შემატების მიუხედავად, პოდიუმზე შედგომა მაინც მოახერხა.

ერთხელ ააცილა ფინელმა ვესა ჰიეტალაჰტიმაც, სანაქებოდაც ისრიალა და ვაჟთა მას სტარტი მოიგო 15 კილომეტრზე. არ შეეხედებოდა ფრანკ ლუკს, რომელმაც იმ დღეს 5-ჯერ ააცილა და 21-ე იყო, თუმცა საერთო ჩათვლაში დარჩა იქ, სადაც იყო — პირველ ადგილზე.

**დავით გულუა**

| ვაჟები |
|---|
| 15 კმ. მას სტარტი |
| 1. ვესა ჰიეტალაჰტი (ფინეთი) 42.50,6 (1 საჯარიმო წრე); 2. ალექსანდერ ვოლფი (გერმანია) +41,6 (2); 3. ვიაჩესლავ დერკაჩი (უკრაინა) +1.10,3 (1) |
| საერთო ჩათვლა |
| 1. ფრანკ ლუკი (გერმანია) 248; 2. პაველ როსტოვცევი (რუსეთი) 230; 3. ვესა ჰიეტალაჰტი (ფინეთი) 208 |

| ქალები |
|---|
| 12,5 კმ. მას სტარტი |
| 1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 35.45,4 (1); 2. ოლგა პილევა (რუსეთი) +32.7 (1); 3. უში დისლი (გერმანია) +51.9 (4) |
| საერთო ჩათვლა |
| 1. მაგდალენა ფორსბერგი (შვედეთი) 300; 2. ანდრეა ჰენკელი (გერმანია) 256; 3. ოლგა პილევა (რუსეთი) 243 |





კრისტინა სმიგუნი

# ...ჯოხის გატეხვა სჯობია

**მსოფლიოს თასის** საერთო ჩათვლას ძველებურზე მეტი რიხით ლიდერობს შვედი პერ ელოფსონი, რომელმაც ავსტრიულ რამსაუში 30 კილომეტრზე ფრისტაილი მოიგო. უაღრესად დაძაბული ბრძოლა შვედსა და ნორვეგიელ ოლე ეინარ ბიორნდალენს შორის ბოლო მეტრებზე დასრულდა, ელოფსონმა ნახევარი წამი მოიგო. სხვები ჩამორჩნენ. კრისტიან ჰოფმანს რამსაუს ბიჭბუჭობა ამხნევებდა სტვენა-ყვირილით, მიდი, მიაწექი ჩვენებუროო. ავსტრიელმაც გარეკა, გარეკა და ფინიშამდე სამი კილომეტრით ადრე ჯოხი გატეხა. გასაკვირია, მაგრამ ჰოფმანი მაინც მოხვდა პოდიუმზე, მერე რა, რომ ყველაზე დაბლა.

სრიალის ზოგი თავადი რამსაუში არ გამოჩენილა. ავად არიან ესპანელი (გერმანული ძირის) იოჰან მულეგი და ნორვეგიელი თომას ალსგაარდი. არც ბენტე სკარი იდგა ქალთა 15 კილომეტრის სტარტზე, ოღონდ მიზეზი არც „როიტერს" და არც „ასოშეიტედ პრესს" არ დაუსახელებიათ. გაიმარჯვა ესტონელმა კრისტინა სმიგუნმა და საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გადავიდა. სკარის ლიდერობა ჯერ ურყევია.

**დავით გულუა**

| ვაჟები. 30კმ. |
|---|
| 1. პერ ელოფსონი (შვედეთი) 1:19.24,4; 2. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) 1:19.24,9; 3. კრისტიან ჰოფმანი (ავსტრია) 1:19.35,8 |
| საერთო ჩათვლა |
| 1. პერ ელოფსონი (შვედეთი) 449; 2. ანდერს აუკლანდი (ნორვეგია) 247; 3. ერლინგ იერვე (ნორვეგია) 230 |
| ქალები. 15კმ |
| 1. კრისტინა სმიგუნი (ესტონეთი) 42.10,8; 2. ლარისა ლაზუტინა (რუსეთი) 41.15,8; 3. სტეფანია ბელმონდო (იტალია) 41.16,3 |
| საერთო ჩათვლა |
| 1. ბენტე სკარი (ნორვეგია) 426; 2. იულია ჩეპალოვა (რუსეთი) 362; 3. კრისტინა სმიგუნი (ესტონეთი) 358 |

# ფოტო ზღვაოსნობის ამბავში

სიდნეიში გარსაქვეყნო რბოლის მონაწილე რვა იახტა შევიდა და თუ კარგად დააკვირდებით, ადგილობრივ ნავ-კატერთა ალყაში მოექცა. გაუხარდათ ადგილობრივებს.



REUTERS ოკლენდიდან



REUTERS ბომბეიდან

# გიყვართ ბისკვიტი?

გრძელი ამბავია და მოთმინებით აღიჭურვეთ: ესე იგი, ბომბეის კინოსტუ... „ბოლივუდს" გადაუღია ფილმი „ლაგაანი", რომელშიც ინდოელი პროლეტარები ბრიტანელ კაპიტალისტებს კრიკეტს ეთამაშებიან და თუ მოუგებენ, კაპიტალისტებმა მათ გადასახადები უნდა შეუმცირონ. ამბავი მაშინდელია, ინდოეთი ბრიტანეთის კოლონია რომ იყო. ამ ფილმს ინდური „ოსკარი" მოუპოვებია, ხოლო ბისკვიტების ფირმა „ბრიტანიას" თავში აზრად ასეთი რამ მოსვლია: მოდი, ჩემი მებისკვიტეების გუნდს ამ ფილმის მსახიობთა ნაკრებთან ვათამაშებ და რეკლამაც გამომივაო. და, აი, ფოტოც: მსახიობ-ვარსკვლავი ამირ ხანი ინდური კრიკეტის ლეგენდას სურავ განგულის ებაასება. ეს ყველაფერი ბომბეის სტადიონ „ბრაბურნზე" ხდება და კადრში მებისკვიტეთა გუნდიდან ვერავინ მოხვდა.



# შაკილის შაყირი

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" „ფილადელფიას" 88:82 მოუგო, თანაც შაკილ ონილის გარეშე. დაშავებული შაკილი შაყირობდა, რადგან სხვა საქმე არა ჰქონდა. აი, მიჯდომია დერეკ ფიშერსა და ბრაიან შოუს და იკრიჭება, თამაშის ბოლოს კი კობი ბრაიანტთან მისულა, მუჭი მუჭზე დაუკრავს და, ო, იეს შეუძახია. ისე კი, თამაშამდე რაღაცას ბრაიანტის ტრავმაზეც ლაპარაკობდნენ.





REUTERS ბადენ-ბადენიდან

# წლის გერმანელები

გუშინ გითხარით, რომ ფეშენებელურ გერმანულ კურორტ ბადენ ბადენში წლის სპორტული გმირების დაჯილდოება გაიმართა. ფოტოზე მოცურავე ქალს ჰანა სტოკბაუერსა და ველომრბოლ ერიკ ცაბელს ხედავთ ჯილდოებით ხელში.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge